

განსაჯადობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2016, №8**

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2016, №8**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2016, №8**

**Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2016, №8**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. ადგინისტრაციული განსჯადობა

განვითარება

№ბს-3-3(გ-16)

25 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 15 ოქტომბერს სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენ-
ტრმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუ-
ხების – ქ. ს-ის, გ. ჭ-ისა და გ. მ-ის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, ლ. მ-ე, რომელიც იყო სახელმწი-
ფო გასაცემლის – პენსიის მიმღები გარდაიცვალა 2015 წლის 28
მარტს, რაც დასტურდება სამოქალაქო რეესტრიდან გადმოგ-
ზავნილი ინფორმაციით. მოქალაქე ქ. ს-ემ უკანონოდ მიიღო
გარდაცვლილი. მ-ის 2015 წლის აპრილისა და მაისის თვის პენ-
სია – 299,7 ლარი, რაც მას კანონით არ ეკუთვნის. მოსარჩელის
განმარტებით, ქ. ს-ეს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსა-
ხურების ცენტრის 2015 წლის 9 ივნისის №04-01/2313 ნერი-
ლით დაევალა უკანონოდ მიღებული პენსიის ნებაყოფლობით
უკან დაბრუნება, რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხ-
დენია.

ხ. თ-ი, რომელიც იყო სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის
მიმღები გარდაიცვალა 2015 წლის 31 მარტს, რაც დასტურდება
სამოქალაქო რეესტრიდან გადმოგზავნილი ინფორმაციით. მო-
ქალაქე გ. ჭ-ემ უკანონოდ მიიღო გარდაცვლილი ხ. თ-ის 2015
წლის აპრილის თვის პენსია – 149,83 ლარი, რაც მას არ ეკუთ-
ვნიდა, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენ-
ტრის 2015 წლის 9 ივნისის №04-01/3742 ნერილით დაევალა უკა-
ნონოდ მიღებული პენსიის ნებაყოფლობით უკან დაბრუნება,
რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხდენია.

ასევე ლ. შ-ემ, რომელიც იყო სახელმწიფო გასაცემლის –

პენსიის მიმღები გარდაიცვალა 2015 წლის 17 მაისს, რაც დასტურდება სამოქალაქო რეესტრიდან, გადმოგზავნილი ინფორმაციით. მოქალაქე გ. მ-ემ უკანონოდ მიიღო გარდაცვლილი ლ. შ-ის 2015 წლის ივნისის თვეს პენსია 148 ლარი, რაც მას კანონით არ ეკუთვნოდა, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 28 ივნისის წერილით №04-01/4841 დაევალა უკანონოდ მიღებული პენსიის ნებაყოფლობით უკანი დაბრუნება, რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევები ქ. ს-ისათვის – 299,7 ლარის, გ. ჭ-ისათვის – 149,83 ლარისა და გ. მ-ისათვის – 148 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უკანონოდ მიღებული სახელმწიფო პენსიის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სასარჩევო განცხადება მოპასუხების – ქ. ს-ის, გ. ჭ-ის, გ. მ-ის მიმართ უკანონოდ მიღებული სახელმწიფო პენსიის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურების დავალების შესახებ, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო,

კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. შესაბამისად, მოსარჩევის მოთხოვნა სამართლებრივად უნდა ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს და განპირობებული იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, ასევე, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს და არა ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვისათვის დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განეკუთვნება არა ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში სადაცო სამართალურთიერთობა არ გამომდინარებას ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. კერძოდ, სასამართლოში დავის საგანია არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად დადგენილი „ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე“, არამედ ფიზიკური პირის ვალდებულება სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე

მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართლანნარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მეორე ნაწილში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და მისგან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართლანნარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართლურთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანზე. სარჩელით მოსარჩელე ითხოვს ქ. ს-ისათვის – 299,7 ლარის, გ. ჭ-ისათვის – 149,83 ლარისა და გ. მ-ისათვის – 148 ლარის გადახდის დაკისრებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ აღძრული სარჩელის განხილვისას უნდა დადგინდეს არსებობდა თუ არა ლ. მ-ის, ხ. თ-ის და ლ. შ-ის სახელზე გასაცემი პენსიის შეწყვეტის საფუძველი და შესაბამისად, ქ. ს-ეს, გ. ჭ-ეს და გ. მ-ეს ქონდათ თუ

არა უფლება მიეღოთ აღნიშნული პირების კუთვნილი პენსია.

სასამართლომ მიუთითა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოშობათ 60 წლიდან. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია პენსიის შენწყვეტის საფუძვლები, კერძოდ, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამარის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთი წყაროა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მიენიდება კომპეტენტურ ორგანოს.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის გაცემის წესი და საფუძველი გათვალისწინებულია აღმინისტრაციული კანონმდებლობით – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამავე კანონით არის გათვალისწინებული შემთხვევები, როდესაც წყდება სახელმწიფო გასაცემლის გაცემა. შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ აღძრული სარჩელი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან, კერძოდ, არსებობდა თუ არა ლ. მ-ის, ხ. თ-ის და ლ. შ-ის კუთვნილი პენსიის მოპასუხების სასარგებლოდ გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, უნდა დადგინდეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ რაც შეეხება განსახილველ დავაზე სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყე-

ნებას, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქ. ს-ის, გ. ჭ-ის, გ. მ-ის მიერ მიღებული თანხის „უკან დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (ადმინისტრაციული კანონმდებლობა) საფუძველზე აღარ არსებობდა ლ. მ-ის, ხ. თ-ის და ლ. შ-ის კუთვნილი პენსიის გაცემის საფუძველი. ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოპასუხეებისათვის გადახდილი თანხის დაბრუნების დაკისრების სამართლებრივ შექანიზმად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიაჩინა, რომ აღძრული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლნარმობის წესით განსახილველ დავას და შესაბამისად, მის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩინა, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაეკვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შექება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრა-

ციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება ნარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრი სარჩელით ითხოვდა ქ. ს-ისათვის – 299,7 ლარის, გ. ჭ-ისათვის – 149,83 ლარისა და გ. მ-ისათვის – 148 ლარის დაკისრებას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, იმ საფუძვლით, რომ ლ. მ-ე, ხ. თ-ი და ლ. შ-ე იყვნენ პენსიის მიმღები პირები, რომელთა გარდაცვალების შემდეგ, ქ. ს-ემ მიიღო ლ. მ-ის 2015 წლის აპრილისა და მაისის თვის პენსია – 299,7 ლარი, გ. ჭ-ემ მიიღო ხ. თ-ის 2015 წლის აპრილის თვის პენსია – 149,83 ლარი, ხოლო გ. მ-ემ ლ. შ-ის 2015 წლის ივნისის თვის პენსია – 148 ლარი. მოთხოვნის

სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების მე-10 მუხლი. შესაბამისად, შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რამდენად კანონიერად იღებდნენ მოპასუხები – ქ. ს-ე, გ. ჭ-ე და გ. მ-ე, ლ. მ-ის, ხ. თ-ისა და ლ. შ-ის გარდაცვალების შემდეგ მათვის დანიშნულ სახელმწიფო პენსიას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის“ შესახებ, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეთა ქმედების კანონშესაბამისობის თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაზე მსჯელობის, სამართლებრივი შეფასებისა და დასკვინის გარეშე, რის გარეშეც მოთხოვნის იურიდიული საფუძვლიანობა ვერ შემოწმდება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის დასკვნას იმასთან მიმართებაში, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოპასუხებისათვის – ქ. ს-ის, გ. ჭ-ისა და გ. მ-ისათვის გადახდილი თანხის დაბრუნების დაკისრების სამართლებრივ მექანიზმად, მხოლოდ მას შემდეგ თუ დადგინდება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღარ არსებობდა ლ. მ-ის, ხ. თ-ის და ლ. შ-ის კუთვნილი პენსიის გაცემის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელისა გამო, ქ. ს-ისა, გ. ჭ-ისა და გ. მ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განვითარება

№ბს-851-843(გ-15)

25 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 15 ოქტომბერს სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების ი. ქ-ის, ვ. დ-ისა და რ. გ-ის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, რ. გ-ი იყო ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალური პაკეტის „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები“, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 30 აპრილის №818235

ბრძანებით გახდა ცნობილი, მოპასუხე – რ. გ-ი დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რაც გულისხმობს, იმას, რომ სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდა საჯარო საქმიანობას, რაც საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივნისის დადგენილების №279 თანახმად, სოციალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების შეწყვეტის საფუძველია. მოსარჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2014 წლის 12 ივნისის №04-01/3832 წერილით მოპასუხეს ეცნობა, რომ ნებაყოფლობით დაებრუნებინა 2014 წლის მაისისა და ივნისის თვეების უკანონოდ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია 66 ლარის ოდენობით, რაც მას არ განუხორციელებია.

ვ. დ-ი იყო ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალური პაკეტის „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები“, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 15 მაისს გაცემული №MIA15 01042766 წერილით გახდა ცნობილი, მოპასუხე – ვ. დ-ი დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რაც გულისხმობს, იმას, რომ სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდა საჯარო საქმიანობას, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური პაკეტის – „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების შეწყვეტის საფუძველია. მოსარჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2014 წლის 12 ივნისის №04-01/3851 წერილით მოპასუხეს ეცნობა, ნებაყოფლობით დაებრუნებინა 2014 წლის მაისისა და ივნისის თვეების უკანონოდ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია 44 ლარის ოდენობით, რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხდენა.

ასევე ი. ქ-ი იყო ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალური პაკეტის „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები“, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს 2015 წლის 13 მაისს №MIA91501021202 წერილით გახდა ცნობილი, მოპასუხე ი. ქ-ი 2014 წლის ოქტომბერის დაინიშნა ... რაიონული სამმართველოს ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად, ხოლო ამჟამად მუშაობს ... რაიონული სამმართველოს ... განყოფილების უფროს-გამომძიებლად, რაც გულისხმობს იმას, რომ სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდა საჯარო საქმიანობას და რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური პაკეტის – „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების შეწყვეტის საფუძველია. მოსარჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2015

ნლის 9 ივნისის №04-01/3754 წერილით მოპასუხეს ეცნობა, ნებაყოფლობით დაებრუნებინა 2014 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 31 მაისის ჩათვლით უკანონოდ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია 66 ლარის ოდენობით, რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხდება.

მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივნისის №279 დადგენილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უკანონოდ მიღებული სოციალური პაკეტის – „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის“ რ. გ-ისათვის – 66 ლარის, ვ. დ-ისათვის – 44 ლარისა და ო. ქ-ისათვის – 66 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრება მოითხოვა.

2015 წლის 4 ნოემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც დაზუსტა სასარჩელო მოთხოვნა შემდეგნაირად: ო. ქ-სა და რ. გ-ს დაევალოთ უკანონოდ მიღებული სოციალური პაკეტის – „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის“ 66-66 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურება, ხოლო ვ. დ-ის მიმართ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი გაიხმო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი მოპასუხების – ო. ქ-ის, ვ. დ-ისა და რ. გ-ის მიმართ სახელმწიფო სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებმოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე

ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ: ა) სამოქალაქო, საოჯახო, მრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან ნარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე ხორმის მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა და დავის საგანია მოსარჩელე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძევლით თბილისის სოციალური მომსახურების (ცენტრის მიერ, მოპასუხე ფიზიკური პირების (ი. ქ-ის, ვ. დ-ისა და რ. გ-ის), მხრიდან სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახ-

მად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრა-
ხი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალ-
დებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1008-ე
მუხლის შესაბამისად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღა-
ურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი
წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის
ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე
მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგე-
ნილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის
ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კო-
დექსით დადგენილი წესი.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ გან-
მარტა, რომ კანონმდებულმა ადმინისტრაციული სამართალწარ-
მოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა
დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერ-
თობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაცი-
ული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ამას-
თანავე, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად
მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა
სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციუ-
ლი სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებ-
რივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული
სამართლის კანონმდებლობიდან ანუ მოსარჩელის მიერ მითი-
თებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავისი არსითა და
შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან სა-
ჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო
ნორმების დარღვევით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი და-
ვის შემთხვევაში სადავონ სამართალურთიერთობა არ გამომდი-
ნარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებ-
ლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის
ნორმებზე. კერძოდ, სასამართლოში დავის საგანია არა საქარ-
თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხ-
ლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად დად-
გენილი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის
ანაზღაურების თაობაზე, არამედ ფიზიკური პირის ვალდებუ-
ლება სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის
ანაზღაურების თაობაზე და შესაბამისად, წინამდებარე სარჩე-
ლის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს
ნარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული

ურთიერთობანი, კერძოდ, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლის ნორმები.

ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ წინამდებარე სადაც სამართლურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩევო მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სამართლის სუბიექტებს შორის არსებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გამოიყენება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნული სარჩევლის სამოქალაქო-სამართლებრივი ნებით განხილვა განპირობებულია სასარჩევო მოთხოვნის შინაარსით, რომელიც ერთი შეხედვით, დაფუძნებულია უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ საფუძველებზე. სამართლში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, არავინ არ შეიძლება გამდიდრდეს შესაბამისი საფუძვლის გარეშე. უსაფუძვლო გამდიდრების იურიდიული ფუნქციაა, უზრუნველყოს სამართლებრივი მექანიზმების არსებობა, რომელიც განსაზღვრავს დაზარალებულის შესაძლებლობას, ამოილოს გამდიდრებული პირი-საგან (ვითომ კრედიტორი) ვალდებულების გარეშე გადაცემული ქონებრივი აქტივები. ამდენად, სასამართლოს შეფასების ამოსავალი საკითხია შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, რაც განსახილველი დავის ფარგლებში ადმინისტრა-

ციულ კანონმდებლობას ეფუძნება.

სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ შეფასდეს გადახდილი თანხა ქმნის თუ არა უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობებს, პირველ რიგში, შესამოწმებელია, არსებობდა თუ არა სამართლებრივი საფუძველი გადახდის განხორციელებისათვის. ეს საფუძველი კი შესაძლოა, გამომდინარეობდეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასამართლომ უნდა შეაფასოს გადახდა განხორციელდა თუ არა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის – „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №27 დადგენილების შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიაჩნია, რომ აღძრული დავა მიუხედავად უსაფუძვლო გამდიდრებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი კომპონენტების არსებობისა, თავსდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ წინაპირობებში და ექვემდებარება ადმინისტრაციულ იუსტიციას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი წარმომადგენლობისათვის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდებული უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმატულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგ-

რეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრი სარჩელით ითხოვდა მოპასუხებისათვის თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებას, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხებები უკანონოდ იღებდნენ სოციალური პაკეტის – „საყოფაცხოვრებო სუბსიდიას“, ვინაიდან, დასაქმებულები იყვნენ საჯარო სამსახურებში და შესაბამისად, ენეოდნენ სა-

ჯარო საქმიანობას. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება. შესაბამისად, შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რამდენად კანონიერად იღებდნენ მოპასუხები – ი. ქ-ი, ვ. დ-ი, რ. გ-ი სოციალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიას“ და არსებობდა თუ არა მათვის სოციალური პაკეტის შენწყვეტის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეთა სოციალური დახმარების, მოსახლეობისათვის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტური დახმარებით უზრუნველყოფას, სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“. ამავე კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, სოციალური დახმარების სახეებია: ა) საარსებო შემწეობა; ბ) რეინტეგრაციის შემწეობა; გ) მინდობით აღზრდის ანაზღაურება; დ) სრულნლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება; ე) არაფულადი სოციალური დახმარება; ვ) სოციალური პაკეტი. ამავე კანონის მე-12¹ მუხლის თანახმად, სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ არეგულირებს სოციალური პაკეტის გაცემის წესსა და პირობებს, განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის მოცულობას, მიმღებ პირთა წრეს, დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს სოციალური პაკეტის დანიშვნა-გაცემისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, ადგენს ადმინისტრირების ორგანოს, არეგულირებს სოციალური პაკეტის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეთა ქმედების კანონშესაბამისობის თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილების შესაბამისობაზე მსჯელობის, სამართლებრივი შეფასებისა და დასკვნის გარეშე, რის გარეშეც მოთხოვნის იურიდიული საფუძვლიანობა ვერ შემოწმდება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღძრული სარჩელის განხილვისას ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს რამდენად არსებობდა მოპასუხეებისათვის სოციალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიის“ თანხის მიღების შეწყვეტის საფუძვლები და მას შემდეგ თუ დადგინდება, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილების საფუძველზე აღარ არსებობდა ო. ქ-ისათვის, ვ. დ-ისათვის და რ. გ-ისათვის სოციალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების საფუძველი, მხოლოდ მას შემდეგ უნდა გაირკვეს თანხის დაბრუნების საკითხი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – სასიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელისა გამო, ო. ქ-ის, ვ. დ-ისა და რ. გ-ის მიმართ, განსჯადობით განსაზიღველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განმიღება

№ბს-854-846(გ-15)

25 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 23 ოქტომბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების – მ. ბ-ის, ტ. მ-ისა და მ. ჭ-ის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, მ. ბ-ე იყო ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალური პაკეტის „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები“, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 27 მაისის №01/119150 წერილით გახდა ცნობილი, მოპასუხე – მ. ბ-ე 2009 წლიდან დღემდე დასაქმებულია იუსტიციის სამინისტროში, რაც გულისხმობს იმას, რომ სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდა საჯარო საქმიანობას, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური პაკეტის – „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების შენყვეტის საფუძველია. მოსარჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 12 ივნისის №04-01/3856 წერილით მოპასუხეს ეცნობა, რომ ნებაყოფლობით დაებრუნებინა 2013 წლის 31 ივნისიდან 2014 წლის ჩათვლით უკანონოდ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია 242 ლარის ოდენობით, რაც მას არ განუხორციელებია.

ტ. მ-ე იყო ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალური პაკეტის „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები“, როგორც შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2008 წლის პრძანების №9893/შ ამონაწერით გახდა ცნობილი, მოპასუხე – ტ. მ-ე 2008 წლიდან დასაქმებულია დაცვის პოლიციაში, რაც გულისხმობს

იმას, რომ სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდა საჯარო საქმიანობას, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური პაკეტის – „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების შეწყვეტის საფუძველია. მოსარჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 12 ივნისს №04-01/3829 ნერილით მოპასუხეს ეცნობა, ნებაყოფლობით დაებრუნებინა 2013 წლის 31 ოქტომბრიდან 2013 წლის ჩათვლით უკანონოდ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია 44 ლარის ოდენობით, რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხდებია.

ასევე მ. ჭ-ი იყო ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში სოციალური პაკეტის „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები“, როგორც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2015 წლის 15 მაისის №DES61500025634 წერილით გახდა ცნობილი, მოპასუხე – მ. ჭ-ი 2014 წლის ნოემბრიდან დასაქმებულია ... დეპარტამენტში, რაც გულისხმობს, იმას, რომ სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდა საჯარო საქმიანობას, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური პაკეტის – „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების შეწყვეტის საფუძველია. მოსარჩელის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 11 ივნისს №04-01/3785 ნერილით მოპასუხეს ეცნობა ნებაყოფლობით დაებრუნებინა 2014 წლის 31 იანვრიდან 2015 წლის ჩათვლით უკანონოდ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია 44 ლარის ოდენობით, რაზედაც მას დღემდე რეაგირება არ მოუხდებია.

მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უკანონოდ მიღებული სოციალური პაკეტის – „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის“ მ. ბ-ისათვის – 242 ლარის, ტ. მ-ისათვის – 44 ლარისა და მ. ჭ-ისათვის – 44 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სასარჩელო განცხადება მოპასუხების – მ. ბ-ის, ტ. მ-ისა და მ. ჭ-ის მიმართ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაო-

ბაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამო-სილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარაც აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ: ა) სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა და და-

ვის საგანია მოსარჩელე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ, მოპასუხე ფიზიკური პირის (ვ. ი-ის) მხრიდან სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსანინაალმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1008-ე მუხლის შესაბამისად, დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამიწელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართლნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართლურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ამასთანავე, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი და-

ვის შემთხვევაში სადაცო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. კერძოდ, სასამართლოში დავის საგანია არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არამედ ფიზიკური პირის ვალდებულება სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე და შესაბამისად, წინამდებარე სარჩელის მოთხოვნის დაკამაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი, კერძოდ, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლის ნორმები.

ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ წინამდებარე სადაცო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის უზიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმომობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შჯელობა განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სა-

სამართლო დასაბუთებული განჩინებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კოლეგიამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და მისგან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ, მეორე და მე-სამე ნაწილებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღძრული სარჩელით მოსარჩელე ითხოვს მიღებული სოცი-ალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიის“ თანხების მოპასუხების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაუ-

რეპას. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეები სუბსიდიის მიღების პერიოდში ეწეოდნენ საჯარო საქმიანობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უკანონოდ აქვთ მიღებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია.

„სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №279 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები (შემდგომი – წესი) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის (შემდგომში – სოციალური პაკეტი) შოცულობას, მიმღებ პირთა წრეს, დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს სოციალური პაკეტის დანიშვნა-გაცემისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, ადგენს ადმინისტრირების ორგანოს, არეგულირებს სოციალური პაკეტის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

ამავე დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანხმად, ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს სოციალური პაკეტი ამ წესით დადგენილი ოდენობითა და პირობებით; ხოლო მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბენეფიციარი ვალდებულია აცნობოს სააგენტოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს სოციალური პაკეტის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა. ამასთან, იმავე დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა. ხოლო მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტი შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწებული პირებისა.

რაც შეეხება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გათვალისწებით თანხის დაბრუნებას, ადმინისტრაციული წესით საქმის განმხილველი სასამართლო არ არის შეზღუდული გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები მოწმდება სწორედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიაჩინა, რომ აღძრული დავა განეკუთვნება

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და შესაბამისად, მის განხილვაზე უფლებამოსილი სასა-მართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა კოლეგიისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპრო-ცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯა-დობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შექმნება სამო-ქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოე-ბისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინ-ტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენე-ბისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ და-ვებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგ-რეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრა-ციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურ-თიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმი-ნისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქარ-თველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკ-რულების დადგა, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაცი-ული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმე-

დების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად შიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრი სარჩელით ითხოვდა მ. ბ-ისათვის – 242 ლარის, ტ. მ-ისათვის – 44 ლარისა და მ. ჭ-ისათვის – 44 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებას, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხებები უკანონოდ იღებდნენ სოციალურ პაკეტს – „საყოფაცხოვრებო სუბსიდიას“, ვინაიდან, დასაქმებულები იყვნენ საჯარო სამსახურებში და შესაბამისად, ენეოდნენ საჯარო საქმიანობას. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება. შესაბამისად, შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რამდენად კანონიერად იღებდნენ მოპასუხებები – მ. ბ-ე, ტ. მ-ე, მ. ჭ-ი სოციალურ პაკეტს „სახელმწიფო სუბსიდიას“ და არსებობდა თუ არა მათთვის სოციალური პაკეტის შეწყვეტის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეთა სოციალური დახმარების, მოსახლეობისათვის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტური დახმარებით უზრუნველყოფას, სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესა-

ხებ“. ამავე კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, სოციალური დახმარების სახეებია: ა) საარსებო შემწეობა; ბ) რეინტეგრაციის შემწეობა; გ) მინდობით აღზრდის ანაზღაურება; დ) სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება; ე) არაფულადი სოციალური დახმარება; ვ) სოციალური პაკეტი. ამავე კანონის მე-12¹ მუხლის თანახმად, სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრეს, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივნისის №279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ არეგულირებს სოციალური პაკეტის გაცემის წესსა და პირობებს, განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის მოცულობას, მიმღებ პირთა წრეს, დანიშნულისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს სოციალური პაკეტის დანიშნულაციებისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, ადგენს ადმინისტრირების ორგანოს, არეგულირებს სოციალური პაკეტის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეთა ქმედების კანონშესაბამისობის თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივნისის №279 დადგენილების შესაბამისობაზე მსჯელობის, სამართლებრივი შეფასებისა და დასკვნის გარეშე, რის გარეშეც მოთხოვნის იურიდიული საფუძვლიანობა ვერ შემოწმდება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას იმასთან მიმართებაში, რომ აღმრული სარჩელის განხილვისას ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს რამდენად არსებობდა მოპასუხეებისათვის სოციალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიის“ თანხის მიღების შეწყვეტის საფუძვლები და ამის შემდეგ თუ დადგინდება, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივნისის №279 დადგენილების საფუძველზე აღარ არსებობდა მ. ბ-ისათვის, ტ. მ-ისათვის და მ. ჭ-ისათვის სოციალური პაკეტის „სახელმწიფო სუბსიდიის“ მიღების საფუძველი უნდა გაირკვეს თანხის დაბრუნების საკითხი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემუ-

ლი დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელისა გამო, მ. ბ-ის, ტ. მ-ის, მ. ჭ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-849-841 (გ-15)

22 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა მცხეთა-მთიანეთის

სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღნერილობითი ნაწილი:

მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შ. რ-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის ზედმეტად მიღებული სახელმწიფო პენსიის, 150 ლარის, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, ა. რ-ს დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო პენსია. პენციფიციარი 2015 წლის 6 მაისს გარდაიცვალა. 2015 წლის ივნისის პენსია გაცემულია. თანხის გამტანი პირის რეკვიზიტები არ ფიქსირდება. სოციალური მომსახურების სააგენტომ მოიძია ინფორმაცია ა. რ-ის შვილის – შ. რ-ის შესახებ, რომელსაც არაერთხელ მიმართეს თანხის ანგარიშზე დაბრუნების თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა.

განჩინების თანახმად, სადაცვო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სადაცვოა ფიზიკური პირის ვალდებულება სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და შესაბამისად, დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალ-ნარმოების წესით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, სადაცვო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სარჩელის განხილვისას უნდა დადგინდეს, საპენსიო კანონმდებლობიდან გამომდინარე, რა ოდენობის პენსია ეკუთვნოდა ან გარდაცვლილ ა. რ-ს, რომელი თვიდან უნდა შეწყვეტილიყო პენსიის გაცემა, ეკუთვნის თუ არა იმ თვის პენსია, რომელშიც გარდაიცვალა და ა.შ. ამ გარემოებების დადგენისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „სახელმწიფო პენსიის შე-

სახებ“ კანონით და ამ კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით, მართალია, ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს გარდაცვლილი პენსიონერის მემკვიდრის მხრიდან თანხის დაბრუნებას სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ, პირველ რიგში, გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული კანონმდებლობა იმის გასარკვევად, თანხა ნამდვილად არის უკან დასაბრუნებელი თუ არა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამსარეო ცენტრის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განვითობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლონ ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით იკვევა, რომ ა. რ-ს დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო პენსია. ბენეფიციარი 2015 წლის 6 მაისს გარდაიცვალა. 2015 წლის ივნისის პენსია გატანილია ბანკიდან. თანხის გამტანი პირის რეკვიზიტები არ ფიქ-სირდება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ სადაცო სამართალურთიერთობა არ ემყარება კერძო სამართლის ნორმებს. საკასაციო სასამართლო მიზნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებია „სა-

ხელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ნორმები.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-5 თავი აწესრიგებს პენსიის დანიშვნის საკითხებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პენსიონერს უფლება აქვს მიიღოს პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დამატებით მიიღოს სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსიონერი ვალდებულია: აცნობოს კომპეტენტურორგანოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, პენსიაზე უფლება არ წარმოშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხოლო „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია პენსიონერის გარდაცვალება.

სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გარდაცვლილი პენსიონერის პირად ანგარიშზე გარდაცვალების შემდეგ ჩარიცხული ან/და გაცემული თანხები ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულების ან გარდაცვლილი პენსიონერის მემკვიდრის მხრიდან სამქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, მართალია, თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენებით, მაგრამ თავისთავად პენსიის დანიშვნისა და შეწყვეტის საფუძვლები მოწესრიგებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით, ამდენად, დაბრუნების ვალდებულება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშობა. „სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენება“ ამ ნორმის მიზნებისათვის ასევე გულისხმობს პასუხისმგებელი პირის დადგენის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მაგ. გარდაცვლილი პენსიონერის მემკვიდრეობის ან მემკვიდრეების დადგენას მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების გამოყენებით და მათი პა-

სუბისმგებლობის ფარგლების განსაზღვრას, მაგრამ მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველი ადმინისტრაციული კანონმდებლობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელი მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 408-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განვითარება

№ბს-852-844 (გ-15)

22 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა სსიპ სოციალური
მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური
მომსახურების ცენტრის სარჩელთან დაკავშირებით წარმოშო-
ბილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღნერილობითი ნაწილი:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღუ-
რეთის სოციალური მომსახურების ცენტრმა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას თ. ფ-
ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა, რომლითაც მოითხოვა თ.
ფ-ისათვის 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 ოქტომ-
ბრის ჩათვლით უკანონოდ მიღებული სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის, სულ 1300 ლარის, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნე-
ბის დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხებ 2013 წლის 5 სექტემ-
ბერს სოციალური პაკეტის – პენსიის დანიშვნის მიზნით გან-
ცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-
ტოს, რა დროსაც დამალა საჯელალსრულებისა და პრობაციის
სამინისტროში დასაქმების ფაქტი. თ. ფ-ე 2013 წლის 9 ივლისი-
დან მუშაობს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინის-
ტროს სამედიცინო დეპარტამენტში, რაც დასტურდება აღნიშ-
ნული სამინისტროს 2015 წლის 8 მაისის წერილით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიამ 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინებით საქმე გან-

სჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა.

განჩინების თანახმად, სადაც სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. დავის საგანია არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არამედ ფიზიკური პირის ვალდებულება სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და შესაბამსად, სასარჩელო მოთხოვნის დაქმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობაზი, კერძოდ კი, დელიქტთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლის ნორმები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშვნულ განჩინებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, სადაც სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სარჩელის განხილვისას უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა, თ. ფ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის, ხოლო შემდგომ მისი შეწყვეტის საფუძველი. ეს საკითხები მოწესრიგებულია „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით. რაც შექმნა მოცემულ დავაზე სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება შესაძლებელია თ. ფ-ის სასარგებლოდ გაცემული თანხის უკან დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოპასუხეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე არ ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკარაველოს სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შექება სამოქალაქო საქმების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმაჟულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, სსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართლნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელე-

მენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ორკვევა, რომ თ. ფ-ემ 2013 წლის 5 სექტემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგნოტოს სოციალური პაკეტის დანიშვნის მოთხოვნით მიმართა. სარჩელის საფუძველზე სადაცო თ. ფ-ისათვის 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით დარიცხული სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის, სულ 1300 ლარის, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ სადაცო სამართალურთიერთობა არ ემყარება კერძო სამართლის ნორმებს. საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ნორმები.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-5 თავი აწესრიგებს პენსიის დანიშვნის საკითხებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პენსიონერს უფლება აქვს მიიღოს პენსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დამატებით მიიღოს სოციალური დაბმარებების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსიონერი ვალდებულია: აცნობოს კომპეტენტურორგანოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

შენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საჯარო საქმიანობის განხორციელება. კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ითვალისწინებს ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნების ვალდებულებას და პირობებს. ანალოგიურ დებულებას შეიცავს „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და სამოქალაქო სამართლის ნორმებს არ ემყარება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში. კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნინამდებარე სადაც სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად

ადმინისტრაციულ საქმეს, შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექტის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 408-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩულურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-224-223(გ-16)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 ნოემბერს თ. ჭ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობაში პოლიტიკური ორგანიზაციის – „....“ მმართველობის პერიოდში ეკავა ... თანამდებობა. 2013 წლის 1 ოქტომბერს დაიკავა ისნის რაიონის ტერიტორიული ერთეულის ... უბნის განყოფილების უფროსის თანამდებობა.

2014 წლის 20 ოქტომბერს, იგი თბილისის ისნის რაიონის გამგებლის – ვ. ქ-ის ბრძანებით გათავისუფლდა თანამდებობიდან. აღნიშნულ გათავისუფლებას, მოსარჩელის მითითებით, წინ უძლევოდა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული შევიწროვება და მოპყრობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს სსვადასხვა რეგიონში, თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო მოხელეების მასობრივი გათავისუფლებები დაიწყო. გათავისუფლებები ხორციელდებოდა, როგორც ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანებით, ისე მოხელეების პირადი განცხადებების საფუძველზე, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებდა, რომ მოხელეების მსგავს გათავისუფლებებში ადგილი ჰქონდა მიკერძოებულ, დისკრიმინაციულ მიდგომებს პოლიტიკური პარტიისადმი „კუთვნილების“ გამო და პირთა იძულებას „საკუთარი ნებით“ დაეტოვებინათ სამსახურები.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ვინაიდან იგი ლიად მხარს უჭერდა პოლიტიკურ გაერთიანება „....“, მიმდინარე მოვლენების ფონზე, შიშიბდა სამსახურის დატოვებას მასაც მოსთხოვდნენ. ამიტომ 2014 წლის აგვისტოს თვეში თავისი სოციალური გვერდის მეშვეობით საჯაროდ განცხადა, რომ იგი არ აპირებდა საკუთარი ნებით განცხადების დაწერას და თანამდებობის დატოვებას, რის შემდგომაც ზემდგომი თანამდებობის პირების თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის – ვ. ჭ-ისა და მისი მოადგილის – გ. ჯ-ას მხრიდან დაიწყო მასზე სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დევნა, შევიწროვება და მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, რაც საბოლოოდ, მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მისთვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანების, მისი გათავისუფლების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების

თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ის-ნის რაიონის გამგეობის მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის – 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებით თ.ჭ-ის სარჩელიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები. თ.ჭ-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას; თ.ჭ-ის სარჩელზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურებისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების მოთხოვნების ნანილში შეჩერდა წარმოება სამოქალაქო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად:

1. ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის შსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

2. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოებაა განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის №213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შექმნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები — ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუზიარების უფლებამოსილ სასამართლოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დაკავა წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა გამოიყოს ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნოს.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნების ძირითადი საფუძველია მოსარჩელის მიმართ მოპასუხის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა, რის გამოც დასახელებული მოთხოვნების განხილვა არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნების ნაწილში სარჩელის განხილვამდე და შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სარჩელის დანარჩენ ნაწილში სასამართლო წარმოება უნდა შეჩერდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით თ.ჭ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე სადაცოდ ხდის სამსახურიდან გათავისუფლებას დისკრიმინაციული მოტივით, კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ გათავისუფლების ბრძანების გამოცემა მოხდა გარკვეული ნიშნით, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციულად. სარჩელის არსი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე მსჯელობა და იმის დადგენა, მართლაც ხომ არ ჰქონდა სამსახურიდან გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით ადგილი. სასამართლო ვერ შეაფასებს დისკრიმინაციული მოტივით მოხდა თუ არა მისი გათავისუფლება, თუ არ შეაფასებს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს. სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსა-

ხურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს იმას, რომ სამოქალაქო კოლეგიას მოუწევს იმსჯელოს სამსახურიდან გათავისუფლებაზე, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას, მან უნდა შეიფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში დაავალოს დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა, რაც ასეთ შემთხვევებში მოიცავს სამსახურში აღდგენას. სამოქალაქო სამართლის არსს კი ენინააღმდეგება სამოქალაქო სასამართლოსთვის უფლებამოსილების მინიჭება ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ინდივიდუალური აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართლურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯარო სამართლებრივი დავის კერძო სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო სამართლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო სამართლებრივი ნორმების მეშვეობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია

მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ სწორედ პოლიტიკური მოტივი იყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, ან თუ გამოიკვეთება ე.წ. „კომპარატორი“ (როგორც დისკრიმინაციული ქმედების გამოვლენისათვის აუცილებელი ერთ-ერთი სტანდარტი), რომელსაც იმავე მოცემულობაში განსხვავებულად მოექცნენ, სახეზე იქნება დისკრიმინაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შეუძლებელია განცალკევებით შეფასდეს აქტის კანონიერება და დისკრიმინაცია, მაშინ როდესაც სწორედ სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივი არის აქტის უკანონობის მთავარი საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, ინიციატუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაციული მოტივები უნდა ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ და შესაბამისად, ბათოლად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს ადმისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემონმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია, რის გამოც დავის საგნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს მოსარჩელის უფლების ხელყოფას, მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ, აღნიშნული იქნება იმ გონივრული ვადის სტანდარტის უგულებელყოფა, რაც რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით ვინაიდან, სახეზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს წარმოადგენს ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს ალდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

სასამართლოს აზრით, წებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალნარმოებში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შედაგება, თავისთვად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ ზოგადი წესით, როთაც ძირითადი საკითხი განიხილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალნარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალნარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული სამართალნარმოება, განსხვავებით სამოქალაქო სამართალნარმოებისაგან – ინკვიზიციურია. ამ სამართალნარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – ადმინისტრაციული ორგანო ხშირ შემთხვევაში ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მომგებიან ვითარებაში ამყოფებს. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი სამართალურთიერთობის სამოქალაქო სამართალნარმოების წესით გადაწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობად მოვიაზროთ, ნამდვილად არ იქნებოდა შესაბამისობაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ საერთაშორისო რეგულაციებთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმატულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია

იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწეს-რიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილე-ბელი პირობაა, მოსარჩევლის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძ-ნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობები გა-მომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-ლობიდან, ანუ მოსარჩევლის მიერ მითითებულა საკუთარი უფ-ლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-ბის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მი-იჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოად-გენს თ. ჭ-ისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილი-სის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლე-ბის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაი-ონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბა-თილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღა-ურება, დისკრიმინაციული მოძყვრობის ფაქტის დადგენა და მო-რალური ზიანის 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაცი-ის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-10 მუხლის თანხმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასა-მართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინა-აღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინა-ცია განახორციელდა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერია-ლური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესა-ბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განი-საზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა გან-ხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანხმად, დისკრიმინაციასთან და-კავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით

დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადაც სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – თ. ჭ-ისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული წორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუზარდონის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძვლზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (თ. ჭ-ისათვის შენიშვნის გა-

მოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება) გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – თ. ჭ-ის სარჩელისა გამო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განმიღება

№ბს-273-271(გ-16)

2 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 4 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-
ნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიას მოპასუხის – ი/ზ „რ. შ-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა ი/ზ „რ. შ-ს“ დაეკისროს სახელმწი-
ფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზო-
მიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების გადახ-
და.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის განჩინებით სსიპ სახელ-
მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/ზ „რ. შ-ის“
მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსახილველად გადაეგ-
ზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს მითითებით, დავა გამოიმდინარეობს სამოქა-
ლაქო სამართლის კანონმდებლობიდან. სარჩელის მოთხოვნის
დაცაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სა-
მოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობე-
ბი და სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობი-
ლი დავა დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხილული უნ-
და იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ვინაიდან
მოსარჩელე მიუთითებს ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ“
საქართველოს კანონის 36³.1 მუხლზე, რომელიც არამართლზო-
მიერი მფლობელის მიერ თანხის ანაზღაურების ვალდებულე-
ბას ითვალისწინებს ქონების სამეწარმეო მიზნით გამოყენების
შემთხვევაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობის გათვალისწინება ცალკე კანონით არ აქცევს ურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, რამეთუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „რ. შ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიწნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარებდეს ადგინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პილიტიკური და რელიგიური გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-5 მუხლის მიხედვით, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს ნარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ხორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართალსუბიექტურობის მიხედვით სადაც სამართალურთიერთობის მონაბილე სუბიექტი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ნარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ახორციელებს საჯარო საქმიანობას.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დაგის საგანს ნარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის თანხის

დაკისრება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპორტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთხება და ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა.

მოსარჩელე თანხის დაკისრების საფუძვლად უთითებს, მოპასუხის მხრიდან სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობას, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³-ლი პუნქტით.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალნარმობის წესით, ვინაიდან სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო.

სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეებს შორის არ იყო დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობა, ე.ი. მოპასუხე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობდა სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, რითაც მოპასუხის მხრიდან სახელმწიფოს მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაუ-

რება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის მე-2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ასევე, წარ-მოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და-ვის განხილვის საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების გან-ჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მი-ვიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსა-ხილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემუ-ლია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩა-მონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თა-ნახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლო-ში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან და-კავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნა-ნილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის სა-განს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლო-ბასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეს-რულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდე-ბულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელე-ბის თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამარ-თალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწი-ნებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სა-მართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგ-რეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კა-ნონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინის-ტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სა-მართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიუ-

რი გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტილისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტილისას უპირატესობა ენიჭება სადაც სამართალურთიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საქმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექ-

ტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სა-მართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გა-დასაწყვეტად ამოსავალია სადაც სამართალურთიერთობის ში-ნაარსი, რის გასარკვევადაც არსებითა დავის უშუალო მატე-რიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სა-მართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთო-ბის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფ-ლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამარ-თლებრივ მოწერილებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამარ-თლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მოსაზრებას იმას-თან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დაგალიანების ანაზღაურების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებ-ლობიდან, ვინაიდან მოსარჩელე თავის მოთხოვნას სამართლებ-რივ საფუძვლად უთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ სა-ქართველოს კანონს, რომლის 36-ე მუხლის 1³-ლი პუნქტის თა-ნახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამა-დასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებუ-ლია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლო-ბაში გადაცემის საფასური, საბაზრო ლირებულების შესაბამი-სად (საექსპორტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), სა-ჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგის-ტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემუ-ლი სადაც სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინის-ტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და მო-ცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციუ-ლი საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასა-მართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, ამიტომ იგი თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუ-

ველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/ზ „რ. შ-ის“ მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლობიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-282-280(გ-16)

2 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 15 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ი/მ „ი. ლ-ის“ მიმართ.

მოსარჩელებ მოითხოვა ი/მ „ი. ლ-ეს“ დაეკისროს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საგაენტოს სარჩელი ი/მ „ი. ლ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს მითითებით, დავა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები და სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალნარმობის წესით, ვინაიდან მოსარჩელე მიუთითებს ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36³.1 მუხლზე, რომელიც არამართლზომიერი მფლობელის მიერ თანხის ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებს ქონების სამეწარმეო მიზნით გამოყენების შემთხვევაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობის გათვალისწინება ცალკე კანონით არ აქცევს ურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, რამეთუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „ი. ლ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 6 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-5 მუხლის მიხედვით, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ენერგია ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირ-

ველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ხორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართალუბიერებურობის მიხედვით სადაც სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ნარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ახორციელებს საჯარო საქმიანობას.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევებში დავის საგანს ნარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის თანხის დაკისრება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპორტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწი-

ფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე ზეა სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება და ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა.

მოსარჩევე თანხის დაკისრების საფუძვლად უთითებს, მოპასუხის მხრიდან სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობას, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³-ლი პუნქტით.

ამდენად, სასამართლომ მიზნია, რომ სადაცო სამართლურ-თიერთობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, სასამართლო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნა-

წილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზინის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმობის ნესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საკავკიო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულე-

ბელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადაც სამართლურთიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადაც სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან მოსარჩელე თავის მოთხოვნას სამართლებრივ საფუძვლად უთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონს, რომლის 36-ე მუხლის 1³-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპორტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მოცემული სადაც სამართლაურთიერთობა გამომდინარებს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, ამიტომ იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილებად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „ი. ლ-ის“ მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილებად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-272-270(გ-16)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ი. ი-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღნერილობითი ნაწილი:

ი. ი-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თავდაცვის სამინისტროს მიმართ მოპასუხის 17.04.2015წ. №268 ბრძანების ბათოლად ცნობის, ტოლფას თანამდებობაზე სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის ომში გარდაეცვალა მეუღლე – გ. მ-ი და დარჩა ორი მცირენლოვანი შვილი. მოსარჩელე დასაქმდა თავდაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტში ... განყოფილების უფროს ოფიცრად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015წ. №268 ბრძანებით ი. ი-ი განთავისუფლდა სამსახურიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძვლით. თავდაცვის მინისტრის 22.09.2015წ. ბრძანების საფუძველზე ი.ი-ი დანიშნა თავდაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტში ... სამმართველოს ... განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი განთავისუფლება განპირობებული იყო მეორე ოჯახის შექმნით, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის შემთხვევას, რადგან მოსარჩელის მიერ მეორე ოჯახის შექმნა სამინისტროში გახდა აქტუალური განსჯის საგანი. ი. ი-ი მიიჩნევს, რომ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობები დამატებით გაურთულ-

და მესამე შვილის გაჩენისა და დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შემდგომ. ამასთანავე, მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლება განხორციელდა უკანონოდ, რადგან გათვალისწინებული არ იქნა მოსარჩელის ოჯახური პირობები, ის რომ მას ჰყავდა მცირენლოვანი შვილები. ი. ი-ი თვლის, რომ სამინისტროს მიერ შეთავაზებული თანამდებობა არ არის განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 3.3, 127-ე მუხლების, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.01.2016წ. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შესახებ 17.04.2015წ. №268 ბრძანების ბათილად ცნობის ნაცვლად ითხოვს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 16.09.2015წ. ბრძანების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.01.2016წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, დისკრიმინაციისა და შევიწროვების ფაქტის დადგენის თაობაზე ი. ი-ის სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციისა და შევიწროვების ფაქტის დადგენის თაობაზე მოთხოვნა და განსახილველად გადაეზარდა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. ამდენად, კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრის და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განსაზღვრულია კონკრეტული ნორმები, რაც გამორიცხავს ამ კატეგორიის დავების ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.

ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საკითხების – ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების და ად-მინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძვლების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქ-ნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ინ-დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნების-მიერ შემთხვევაში ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემ და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლებზე იმსჯელოს, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა კი საამისოდ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოცემული აქტის ხასიათისა და სხვა გარემოების ერთობლივი შეფასებით უნდა განხორციელდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2016წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთას დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-11, ასკ-ის მე-2, ზაკ-ის მე-5, მე-60¹ მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას განმსაზღვრელია დავის საგანი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავები, რომლებიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობიდან არის წარმოშობილი, რაც განსახილველ შეთხვევაში სახეზეა, რადგან დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დადგენა. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასება ვერ მოხდება გათავისუფლების საფუძვლების შეფასების გარეშე, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი განთავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული საფუძვლით, ამდენად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკითხი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია. სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნათა დამოუკიდებლად განხილვისას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოუწევს მსჯელობა სამსახურიდან გათავისუფლების საკითხზეც, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმი-

ნაციულ ქმედებას, ამასთანავე დისკრიმინაციის ფაქტის დადგინის შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაავალოს ორგანოს მინის აღმოფხვრა, – ფაქტობრივად პირის სამსახურში აღდგენა, რაც სცილდება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კომპეტენციის ფარგლებს. სასამართლომ მიუთითა ზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, ასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე მუხლის მესამე ნაწილზე და მიიჩნია, რომ დისკრიმინაციისა და შევიწროვების ფაქტის დადგენის საკითხის განხილვა პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისაგან დამოუკიდებლად, არამართებულია, რის გამოც სასამართლო მოთხოვნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს არაუფლებამოსილი სასამართლოს – სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ დავის განხილვას და ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი. ი-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარევებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადაც სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სა-

მართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტსა ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015წ. ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას. სადაცო ბრძანების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე, 109.1 მუხლები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციის შესახებ 17.04.2015წ. №268 ბრძანება, რომელიც თავის მხრივ გამოცემულია საქართველოს მთავრობის 22.11.2013წ. №297 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ 3.3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის საფუძველზე.

საკავალეო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 10.2 მუხლის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი. საქართველოს მთავრობის 22.11.2013წ. №297 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ 3.3 მუხლის „ე“, „ვ“, „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტების მიხედვით თავდაცვის მინისტრი ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, საშტატო ნუსხას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საჯარო, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურებსა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015წ. სადაცო ბრძანებით დასტურდება, რომ ი.ი-ის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლად მიეთითა რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.04.2015წ. №268 ბრძანება და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე, 109.1 მუხლები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი.ი-ის მიერ გასაჩივრებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015წ. ბრძანება არის ინდივიდუ-

ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან გა-
მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრა-
ციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განმსაზ-
ღვრელი კრიტერიუმებია: აქტის, როგორც საქმიანობის სამარ-
თლებრივი ფორმის დასაშეგძლობა, ფორმალური და მატერიალუ-
რი კანონიერება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია
ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს,
რომ აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონით გათვალის-
წინებული ადმინისტრაციული ნარმობების სახის დაცვით და შე-
საბამისი ფორმით იქნეს გამოცემული. ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიე-
რება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს აქტში
ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგების შესაბა-
მისობას მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძ-
ვლებთან. მოსარჩევე აღნიშნავს, რომ მისი განთავისუფლება
მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად, დისკრიმინა-
ციული ქმედება გამოვლინდა სამსახურიდან გათავისუფლება-
ში, გათავისუფლების უკანონოდ ცნობის მიზნით, მოითხოვს მის
მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მატერია-
ლური მიზნის მისაღწევად, პირთა ქმედითი სამართლებრივი
დაცვის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული საპროცესო
კოდექსი მოსარჩელეს ანიჭებს სარჩელის სხვადასხვა სახის და
საპროცესო მოქმედებების გამოყენების შესაძლებლობას.
სასკ-ის 22-25-ე მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული სარჩე-
ლების დიფერენცირებას შეცილებით (22-ე მუხ.), მაგალდებუ-
ლებელ (23-ე, 24-ე მუხ.) და აღიარებით (25-ე მუხ.) სარჩელე-
ბად. ამასთანავე, თითოეული ნორმით განსაზღვრულია შესაბა-
მისი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები. სარჩელის დასაშ-
ვებობის ერთ-ერთ წინაპირობას ნარმოადგენს მოსარჩელის მი-
ერ სწორი პროცესუალური სამუალების არჩევა უფლების დასა-
ცავად. აღიარებითი სარჩელი, როგორც სარჩელის ერთ-ერთი
სახე, არის პროცესუალური დაცვის სამართლებრივი ინსტიტუ-
ტი, მისი მეშვეობით არ ხდება მოსარჩელის მატერიალური უფ-
ლებების უშუალო განხორციელება, რამდენადაც აღიარებითი
სარჩელით დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერ-
თობის არსებობა ან არარსებობა (სასკ-ის 25-ე მუხლით ასევე
გათვალისწინებულია აქტის არარად აღიარების მოითხოვნით სა-

სამართლოსათვის მიმართვის უფლება). მოცემული სახის სარჩელებთან მიმართებაში პროცესუალური კანონმდებლობით დაწესებულია დასაშვებობის წინაპირობები (სასკ-ის 25.2 მუხ.), აღიარებითი სარჩელის აღდვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს არ შეუძლია აღდრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე. ამასთანავე, აღიარებითი სარჩელი დასაშვები არ არის, თუ იგი მიმართულია წმინდა ფაქტობრივი ინტერესის, ფაქტობრივი გარემოების ან სამართლებრივი ურთიერთობის არადამოუკიდებელი ნაწილის მიმართ. დასაშვებობის აღნიშნული წინაპირობები ემსახურება ისეთი ვითარების თავიდან აცილებას, როდესაც პირველად, ფაქტობრივად დადგინდება უფლების არსებობა და შემდგომში დადგება აქტის გაუქმების ან გამოცემის საკითხი.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ასაჩივრებს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.09.2015წ. ბრძანებას და ითხოვს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას იმ მიზნით, რომ დასაბუთდეს ი. ი-ის სამსახურიდან გათავისუფლების არამართლზომიერება. მოსარჩელის საბოლოო მიზანია აღდგეს სამსახურში ტოლფას თანამდებობაზე. გათავისუფლების არამართლზომიერების დასტურად მოსარჩელე უთითებს დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებას. აღნიშნული გარემოების დადგენა დაადასტურებს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის არასებობას. მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სწორედ ამ მოთხოვნის საფუძვლინობის და აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ სსკ-ის VII³ კარით, თუმცა განსახილველ შემთხვევებში, მოსარჩელე ითხოვს არა დამოუკიდებლად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას ან დისკრი-

მინაციული ქმედების შეწყვეტას, არამედ ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რის საფუძვლადაც უთითებს დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინა-ციულ მოპყრობას. ყოველი დავის გადაწყვეტა საჭიროებს გარ-კვეული ფაქტების დადგენას, ვინაიდან სამართლით რეგული-რებული ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ ფაქტების საფუძველზე, ე.ი. ისეთი ფაქ-ტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა გარკვე-ულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაეყ-რდნოს საგარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას, სწორედ აღნიშნულზე იქნება ძირითადად დამოკი-დებული სარჩელის დაკმაყოფილება ან უარი მის დაკმაყოფი-ლებაზე. მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ და ფაქტობ-რივ გარემოებებს შორის სხვაობა პირობითია, დავის გადაწყვე-ტისათვის საჭირო ფაქტს სწორედ რომ სამართლებრივი დატ-ვირთვა აქვს, დასადგენ ფაქტს სახელდობრ სამართლებრივი ასპექტის გამო აქვს მნიშვნელობა. დისკრიმინაციული ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოყვება დისკრიმინაციის შე-დეგის აღმოჩევრის სახით მოსარჩელის ადრე დაკავებულ თა-ნამდებობაზე აღდგენა. აქტის კანონიერების და დისკრიმინა-ციის ცალ-ცალკე შეფასება შეუძლებელია, დისკრიმინაციის ფაქტის დამოუკიდებლად განხილვა სამოქალაქო სამართალ-ნარმოების წესით გამოიწვევს სამსახურიდან გათავისუფლების, სადავო აქტის კანონიერებაზე, კანონიერების დარღვევის შემ-თხვევაში სამსახურში აღდგენის საკითხებზე მსჯელობას, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგიის განსჯადობის ფარგლებს. ამ-დენად, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-ის მოსაზრება, რომ მიმდინარე დავაში სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა გამოიყოს ცალკე წარმოებად და განსახილველად დაექვემდებაროს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და-ვის განხილვისას შესაძლოა გამოიყენოს სსკ-ის VII³ კარის დე-ბულებები, არ ცვლის განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 1.2 მუხ-ლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ამასთანავე, სასა-მართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, მათ შორის საქ-

მის განხილვის პროცესში შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი. დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც კერძო-სამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში, შესაბამისად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსვადი.

დაუსაბუთებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძვლების აღდგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. აღნიშნულ მოსაზრებას არ ადასტურებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემა და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში თუ: დადგენილი ფაქტები ადასტურებენ არათანაბარ, ტენდენციურ მიღეომას; დიფერენცირებული მიდგომა არ არის გონივრული; დარღვეულია ბალანსი მიზანსა და გამოსაყენებელ საშუალებას შორის. დისკრიმინაცია არის კანონიერების უხეში დარღვევა, სასამართლო დაცვა ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება (სზაკ-ის მე-5 მუხ.), ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს (სზაკ-ის მე-60¹ მუხ.). საჯარო სფეროში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მოითხოვს ადმინისტრაციული თვითნებობის, სახელმწიფო მმართველობაში დისბალანსის, უფლებამოსილების გადაჭარების, პასუხისმგებლობის შესუსტების ფაქტებზე რეაგირებას. ასეთ ფაქტებზე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების რეაგირება ამკვიდრებს კანონიერების რეაგიმს სახელმწიფო მმართველობაში. დისკრიმინაცია უკავშირდება თანასწორობის ფუნდამენტური, კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას, მისი აღმოფხვრა უფლებე-

ბისა და კანონიერ ინტერესებს ემსახურება, რაც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კომპეტენციის უმნიშვნელოვანეს სფეროს შეადგენს. საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების კანონიერების შეფასების კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოს აქვს. საკასაციო პალატა იზიარებს სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აქტის სადავოდ გახდომა გამოცემული აქტის დისკრიმინაციულობის მოტივით არ აქცევს ავტომატურად დავას სამოქალაქო კატეგორიის დავად და არ იწვევს შედეგად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განხილვას, მით უფრო, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სამართალწარმოების თავისებურება ესადაგება სასამართლო წარმოების ინკვიზიციურ საწყისებს, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობაა, რაც სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის გათვალისწინებით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების წესით და შესაბამისად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ი-ის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოდეგის;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№პს-850-842(გ-15)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა მ. ა-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღნერილობითი ნაწილი:

მ. ა-ებ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხების საქართველოს ეროვნული ბანკის და ლიკვიდატორ მ. ტ-ის მიმართ მატერიალური ზიანის – 693 000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იყო სს „...“ აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წელს ბანკის შეექმნა მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, რის გამოც საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 02.04.2004წ. №165 განკარგულებით სს „...“ გაუუქმდა ლიცენზია და დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი. 31.12.2004წ. მდგომარეობით მოსარჩელეს სს „...“ გახსნილ სავალუტო ანგარიშზე ერიცხებოდა თანხა 693 000 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად მ. ა-ეს ბანკის ლიკვიდატორისგან მიღებული ჰქონდა განმარტება, რომ მოსარჩელისადმი არსებული დავალიანება დაიფარებოდა რიგითობის მიხედვით. 09.11.2012წ. სსიპ საჯარო რეესტრის მიერ განხორციელდა სს „...“ ლიკვიდაციის რეგისტრაცია. ლიკვიდაცია დასრულდა მოსარჩელის მიერ რაიმე თანხის მიღების გარეშე. მოსარჩელის თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 05.05.2008წ. ლიკვიდატორმა მ. ტ-მა მიიღო ერთპიროვნული გა-

დაწყეტილება მ. ა-ის მოთხოვნის მე-4 რიგიდან მე-5 რიგში გადატანის შესახებ. ბანკის ლიკვიდაციის პროცესში მე-4 რიგის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა, ხოლო მე-5 რიგის კრედიტორებმა თანხა ველარ მიიღეს არასაკმარისი ფინანსების გამო. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება არამართლზომიერად განხორციელდა, რადგან მ. ა-ის მოთხოვნა საქართველოს ეროვნული ბანკის 11.07.2003წ. №159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების ლიკვიდაციის წესის“ მე-5 მუხლის მიხედვით, თავისი შინაარსით მე-4 რიგის მოთხოვნაა და დაუშვებელი იყო „სხვადასხვა კრედიტორების“ მოთხოვნების რიგში მისი შეყვანა. მოსარჩელე თვლის, რომ ლიკვიდატორის თვითხებური ქმედების შედეგად მიადგა ზიანი, რაც სკის 997-ე და 408-ე მუხლების საფუძველზე ლიკვიდატორისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სოლიდარულად უნდა ანაზღაურდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შესაგებლებით მიმართეს მ. ტ-მა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. შესაგებლების ავტორებმა მ. ა-ის მოთხოვნა მიიჩნიეს უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შესაგებელში დამატებით მიუთითა, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, სარჩელი განსჯადობით უნდა გადაეცეს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.10.2015 წ. განჩინებით საქმე განსახილველად განსჯადობით გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. კოლეგიამ მიუთითა სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, ასევე სზაკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს საქართველოს ეროვნული ბანკისგან, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია და სს „...“ ლიკვიდატორისგან, რომლის დანიშნვაზე უფლებამოსილი იყო საქართველოს ეროვნული ბანკი („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 49.2 მუხლის სს „...“ ლიკვიდაციის პროცესში მოქმედი რედაქცია). სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოსაგან და ლიკვიდატორისგან, რომელიც საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს, ზიანის ანაზღაურება,

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციული კოლეგის განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.12.2015წ. განჩინებით მ. ა-ის სასარჩელო განცხადება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასასწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, ასკ-ის 2.1, 26-ე მუხლებზე, სსკ-ის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, მე-3, 32-ე მუხლებზე, 49.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის 05.05.2008წ. და ამჟამად მოქმედ რედაქციებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11.07.2003წ. №159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ (ძალადაკარგულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 03.10.2015წ. №24/24 ბრძანებით) მე-7, მე-8 მუხლებზე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1, 9.6, 51.1, 56.4 მუხლებზე, ზაკ-ის 207-ე მუხლზე, სკ-ის 317.1, 992-ე, 997-ე, 998.1 მუხლებზე და აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია საჯარო – ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. სასამართლო მიიჩნია, რომ მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ფიზიკური პირის – მ. ტ-ისგან, როგორც სს „...“ ყოფილი ლიკვიდატორისგან და საქართველოს ეროვნული ბანკისგან იმ საფუძვლით, რომ ლიკვიდატორი დანიშნული იყო ეროვნული ბანკის მიერ. სასამართლომ აღნიშნა, რომ „...“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იყო სააქციო საზოგადოება, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მესამე პირებთან – მათ შორის კრედიტორებთან ურთიერთობაში წარმოადგენდა ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული ლიკვიდატორი. სს-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურების

შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სწორედ ამ პირს. ამდენად, ადმინისტრაციულმა კოლეგიამ არ გაიზიარა სამოქალაქო კოლეგიის მითითება, რომ დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და სასარჩელო მოთხოვნაა ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოსგან, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ამ უკანასკნელის მიერ საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების შედეგად. სასამართლომ მიაჩნია, რომ სახეზეა კერძო-სამართლებრივი დავა კერძო სამართლის სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირსა და ფიზიკურ პირს შორის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რის გამოც დავა სამოქალაქო კოლეგიის განსჯადია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მ. ა-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ალინშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადაც სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამდენად, უკეთუ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან სხვა საჯარო სამართლის წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებული დავა, რომელიც წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების შედევად, ადმინისტრაციული კატეგორიისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზიანი დამდგარია ადმინისტრაციული ორგანოს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში დავა კერძო-სამართლებრივ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და ამდენად, სამოქალაქო კოლეგიის განსჯად საქმითა რიცხვს განეკუთვნება.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. თავის მხრივ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის 2.1 მუხლისა და სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციული ორგანოა. ამდენად, სადაც სამართალურთიერთობის მონაზილე ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ იმის გამო, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადაც სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ზიანის ანაზღაურება სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკისგან და ლიკვიდატორ – მ. ტ-ისგან. მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელე უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ლიკვიდატორ მ. ტ-ის მიერ სს „...“ ლიკვიდაციის პროცესში არაკეთილსიზდისიერად და თვითნებურად განხორციელდა მასზე დაკაისრებული უფლებამოსილება კრედიტორთა მოთხოვნების რიგითობასთან დაკავშირებით, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს იმ სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება, რომლიდანაც წარმოშობილია მოთხოვნა. განსჯადობის საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესის ბუნება. საჯარო სამართალს განეკუთვნებიან ნორმატიული დებულებები, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო ინდივიდუალური ინტერესების მომსახურე დებულებები კერძო სამართლის კუთვნილებაა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ ზიანი წარმოშობილია ლიკვიდატორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11.07.2003წ. №159 ბრძანებით დამტკიცებული

„კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ (ძალადაკარგულია „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 10.03.2015წ. №24/04 ბრძანებით) მე-5 მუხლით განსაზღვრული კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის დარღვევის შედეგად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია მიიჩნევს, რომ დავა სამოქალაქო კოლეგიის განსჯადია, რადგან მოთხოვნის საფუძველი სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის არამართლზომიერად განხორციელებაა, ხოლო სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის წესს ადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. საკასაციო პალატა არ იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სს „...“ ლიკვიდაცია შესაძლოა განხორციელებულიყო რომ განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით: ერთ შემთხვევაში ბანკის ლიკვიდაციის შესახებ თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრება („მენარმეთა შესახებ“ კანონის 9¹ მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი), ხოლო მეორე შემთხვევაში ბანკის ლიკვიდაცია იწყება სააქციო საზოგადოების ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოს ეროვნული ბანკის ცალმხრივად საგალდებულო, იმპერატიული ნების საფუძველზე, ლიცენზიის გაუქმების შედეგად, ლიკვიდაცია ასეთ შემთხვევაში ხორციელდება ეროვნული ბანკის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. „კომერციული ბანკების შესახებ“ კანონის 37.1 მუხლის თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება კომერციული ბანკის ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. საქართველოს ეროვნული ბანკის 11.07.2003წ. №159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი“ ადგენდა ლიკვიდატორის დანიშვნის და უფლებამოსილების, სალიკვიდაციო პროცედურების განხორციელების წესს, მათ შორის, ამონაგები თანხებით მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობას. იმისდამიხედვით, თუ ვისი გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად ბანკის ლიკვიდაციას, ლიკვიდაცია ხორციელდებოდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტის შესაბამისი ნორმების მიხედვით. უკეთ დავა ეხება სს-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე ლიკვიდაციის პროცესს და მის თანამდევ შედეგებს, დავა სამოქალაქო კოლეგიის გან-

სჯადია, რადგან იგი მომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებ-ლობიდან („მენარმეთა შესახებ“ კანონიდან) და ხორციელდება მის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ დავა წარმოშობილია ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისათვის ლიცენზიის გაუქმების შედეგად, ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მიმდინარე ლიკვიდაციის პროცედურებისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში დავა ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადია, რადგან დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონი, „კომერციული ბანკების შესახებ“ კანონი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11.07.2003წ. №159 ბრძანებით დამტკიცებულ „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შესახებ წესი“) გამომდინარეობს, ლიკვიდაციის პროცესში იკვეთება საჯარო-სამართლებრივი ინტერესი (საბანკო სექტორის გამართული და სტაბილური საქმიანობა ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს, სახელმწიფოს განვითარება, მოსახლეობის სოციალურ-ყოფითი პირობების დაკმაყოფილება შეუძლებელია ძლიერი საბანკო სისტემის ფუნქციონირების გარეშე), რომლის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნულ ბანკს საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული აქცს ბანკების ლიცენზიონების, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის და დაგენილი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების გამოყენების, აგრეთვე კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმებისა და ამის საფუძველზე ბანკის ლიკვიდაციის პროცესის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება.

სადაც პერიოდში მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11.07.2003წ. №159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი“ ითვალისწინებდა ეროვნული ბანკის მიერ ბანკისათვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას (1.2 მუხ.), ხსენებული წესი გამოიყენებოდა იმ კომერციული ბანკის მიმართ, რომელსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაუუქმა საბანკო ლიცენზია (1.1 მუხ.), რა დროსაც ეროვნული ბანკის მიერ ადმინისტრაციული აქტით დანიშნული ლიკვიდატორი (1.4 მუხ.) საქმიანობას ანარმოებდა მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად (2.1 მუხ.). ლიკვიდაციის წესი ადგენდა, რომ ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე ბანკი ექვემდებარებოდა „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ კანონისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“

ორგანული კანონის მოთხოვნებს (2.8 მუხ.). ასეთივე რეგულაციას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 10.03.2015 წ. №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის“ 1-ლი და მე-2 მუხლები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11.07.2003 წ. №159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი“ ითვალისწინებდა კომერციული ბანკის ლიკვიდატორის დანიშვნას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით (1.4, 9.8 მუხ.), ამასთანავე ლიკვიდატორი თავის ფუნქციებს ახორციელებდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით და ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ ეროვნული ბანკის ნინაშე (3.2 მუხ.). ლიკვიდატორი არ შეიძლება იყოს კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირი („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 37.1 მუხ.). აღნიშნულისაგან განსხვავებით, როდესაც სააქციო საზოგადოების – კომერციული ბანკის ლიკვიდაცია იწყება სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედებს „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი, რომლის თანახმად, მენარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში — სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს) შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები). აღნიშნული ნორმის ლიკვიდაციის დაწყების პერიოდში (2004 წ.) მოქმედი რედაქციის მიხედვით, ლიკვიდაციას აწარმოებდნენ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 9.1 მუხლში დასახელებული პირები (დირექტორები, პარტნიორები და სხვ.) ერთობლივი ხელმოწერით. რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით, თუ საამოსო მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობდა, შესაძლებელი იყო ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირების (ლიკვიდატორების) დანიშვნა იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას ჰქონდა ადგილსამყოფელი, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო ლიკვიდატორებად დაენიშნა ის პირებიც, რომლებიც არ იყვნენ დირექტორები. მიმდინარე დავაში არ დასტურდება „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით ლიკვიდაციის დაწყება ან ლიკვიდატორის დანიშვნა. განსაზილველ შემთხვევაში, საქმის მსალებით დგინდება, რომ სს „...“ ლიკვიდაციის პროცესი უკავშირდება არა დამფუძნებელთა ნებას, არამედ საბანკო ლიცენზიის გა-

უქმებას. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 02.04.046. №165 განკარგულებით ბანკში დაინიშნა დროებითი ადმინისტრაცია და შეჩერდა სს „...“ ყველა ორგანოს უფლება-მოსილება, 04.05.046. №206 განკარგულებით დროებითი ადმი-ნისტრაციის მოქმედების ვადა გაგრძელდა, ხოლო საქართვე-ლოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 31.12.046. №846 განკარგულებით, „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მი-ნიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 23.12.036. №297 ბრძანებითა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 26.08.036. №38 დადგენილებით დამტკიცებული „მინიმალური სარეზერვო მოთ-ხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის ნესით“ გათვალისწინე-ბული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, სს „...“ გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია და ბანკში დაიწყო ლიკვიდა-ციის პროცესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 04.10.066. №270 ბრძანებით ლიკვიდატორად დაინიშნა მ. ტ-ი. ბრძანებები გამოცემულია „კომერციული ბანკების საქმიანო-ბის შესახებ“ კანონის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესა-ხებ“ ორგანული კანონის და მათ შესაბამისად გამოცემული კა-ნონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე. აღნიშ-ნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში ლიკვიდა-ციის პროცესზე ვერ გავრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ კა-ნონის დებულებები, რომლებზეც უთითებს საქალაქო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რის საფუძველზე დავას არასწორად მიჩნევს სამოქალაქო-სამართლებრივად. აღ-ნიშნული მსჯელობა არ ეფუძნება განსახილველი საქმის შესა-ბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებს.

ის გარემოება, რომ მოსარჩევე მოთხოვნის საფუძვლად ად-მინისტრაციულ კანონმდებლობასთან ერთად უთითებს სამო-ქალაქო კოდექსის ნორმებს (სკ-ის 317, 992, 997, 998), არ ცვლის განსჯადობის საკითხს. ზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულია სამოქალაქო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორ-მებისა და პრინციპების გავრცელება ადმინისტრაციულ ორგა-ნოზე. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის კერძო-სა-მართლებრივად მიჩნევა მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩევე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას კერძო-სამართლებ-რივი ნორმებით ასაბუთებს, აღნიშნული არ ცვლის დავის შინა-არსა და განსჯადობას. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსო-ლუტურ კომპეტენციას, მათ შორის საქმის განხილვის პროცეს-ში შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადაწყვეტისათ-

ვის საჭირო ნორმატიული აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით და შესაბამისად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ა-ის სარჩელი საქართველოს ეროვნული ბანკის და ლიკვიდატორ მ. ტ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განცხილა

№ბს-465-460(გ-16)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 15 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-

ნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილი-სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-გიას, მოპასუხის – ი/მ „გ. შ-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ ი/მ „გ. შ-ისთვის“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობი-სათვის დარიცხული დავალიანების – 10852 ლარის (2012 წლის 17 სექტემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით 8250 ლა-რის, ხოლო 2015 წლის იანვრიდან 13 აგვისტოს ჩათვლით 2602 ლარის) გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით სსიპ სა-ხელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „გ. შ-ის“ მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გან-სჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიას.

სასამართლოს მითითებით, დავის საგანს წარმოადგენს მო-პასუხისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. დავა გამომდინარეობს სამოქა-ლაქო სამართლის კანონმდებლობიდან. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სა-მოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობე-ბი და სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობი-ლი დავა დავალიანების დაკისრების თაობაზე, განხილული უნ-და იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კერძოდ, მო-სარჩელე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გან-მარტავს, რომ გ. შ-ს თანხის გადახდის ვალდებულება წარმო-ეშვა უძრავი ქონების არამართლზომიერი ფლობის შედეგად და ითხოვს, რომ ეს თანხა აუნაზღაუროს მოპასუხე მხარემ. ასევე დასტურდება, რომ თანხის ოდენობა მხარეს დადგენილი აქვს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული წესით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე მხარე სამარ-თლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს მის კუთვნილ უძრავ ნივთს. მოსარჩელე მიუთითებს სახელმწიფოს საკუთრებაში არ-სებული შენობის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღი-რებულებაზე და ითხოვს ფართის არამართლზომიერი ფლობის დროის მიხედვით მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას. მიუ-თითებს, რომ ვალდებულების ძალით მოპასუხე ვალდებულია აუნაზღაუროს სადაც თანხა. მოსარჩელე ასევე მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 36.1³ მუხლზე, რომე-ლიც არამართლზომიერი მფლობელის მიერ თანხის ანაზღაუ-

რების ვალდებულებას ითვალისწინებს ქონების სამენარმეო მიზნით გამოყენების შემთხვევაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობის გათვალისწინება ცალკე კანონით არ აქცევს ურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი/მ „გ. შ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასანყვეტად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანზე. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის 10852 ლარის გადახდის დაკისრებას. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, გ. შ-ი წარმოადგენს მენარმე სუბიექტს, რომელიც სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით არამართლზომიერად სარგებლობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონებით. მოსარჩელის მი-

თითებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის საფუძველზე, მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასური, რაც 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2015 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით შეადგენს 10852 ლარს.

სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36.1³ პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საპაზრო ლირებულების შესაბამისად, (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), სარგებლობის მთელი პერიოდისათვის (2014 წლის 11 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ამდენად, აღძრული სარჩელის განხილვისას უნდა დადგინდეს გ. შ-ი იყენებს თუ არა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის ანუ გ. შ-ისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისათვის საფასურის გადახდევინების თაობაზე მოთხოვნის საფუძველი განსაზღვრულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ აღძრული დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რის გამოც აღძრული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების გან-
ჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მი-
ვიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსა-
ხილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-
2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრა-
ციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის
პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციუ-
ლი დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-
მდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-
ბა, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს
ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების გან-
ხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების
ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.
ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირვე-
ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა,
სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით
განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებ-
თან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ად-
მინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2
მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინის-
ტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი
თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სა-
მართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიუ-
რი გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც სა-
ქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯა-
რო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ქო-
ნების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6
ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და გან-
კარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორ-
ციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-
ბის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იუ-
რიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის
მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგე-

ნილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დაგაღიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადაც სამართლურთიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადაც სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითა დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან მოსარჩელე თავის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის 36-ე მუხლის 13 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის ნერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საქართველო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, ამიტომ იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი „ი/მ გ. შ-ის“ მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის და-

რიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამოქალაქო განსჯადობა

განხილვა

№ბს-179-178(გ-16)

22 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას კ. ტ-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა, რომლითაც მოითხოვა უსაფუძვლოდ აღებული სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების მოპასუხისათვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქმე გადმოიგზენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა ადმინისტრაციული კატეგორიისაა. სახელმწიფო გასაცემლის – პენსიის გაცემის წესი და საფუძვლები გათვალისწინებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით, კერძოდ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით. ამავე კანონითაა მოწესრიგებული შემთხვევები, როდესაც წყდება სახელმწიფო გასაცემლის გადახდა, შესაბამისად, წარმოდგენილი დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრის სარჩელი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლოთა შორის დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციონ სასამართლოს იურისდიქცია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების თაობაზე.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უნდა ეხელმდღვანელა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით და საქმე გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიათვის, რომელიც თუ მიიჩნევდა, რომ ამ საქმეზე განსჯად სასამართლოს არ წარმოადგენდა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე წამოიწყებდა და დავას განსჯადობის შესახებ, რა შემთხვევაშიც საკასაციონ სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, სახეზე იქნებოდა.

საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე, რომლის გადაჭრის უფლებამოსილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გააჩნია საკასაციონ სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას დავის საგანთან მიმართებაში სასამართლოს უფლებამოსილების პრინციპის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის, რის გამოც საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და, შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით საქმის საკასაციონ სასამართლოსათვის გადმოგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის გალდებულებას განსჯად სასამართლოში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფ-

ლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგან-სჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასა-მართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამ-კვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არა-მედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინ-ციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გა-დაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულის-ხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მიზიფებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონ-მდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმი-ნისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, და-ვის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამო-სილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვე-ვაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია სადაცოს ხდის საგნობრივი განსჯადობას იმავე სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასთან, რომლის მსჯელობის საგანი არც გამხდარა წინამდებარე საქმის განხილ-ვის კომპეტენცია, რაც ნათლად მიანიშნებს, რომ, ამ ვითარება-ში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-ქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის არ არსებობს დავა განსჯა-დობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-ულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა უზრუნველყოფილია და ემ-სახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ გან-ხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასა-ციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადო-ბის შესახებ გულისხმობს როი სასამართლოს მსჯელობის სა-მართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასა-ციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასა-ბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტის დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამარ-თლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე, რაც გან-სახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის (ასევე იხილეთ სუსგ

№ბს-468-457(გ-14), №ბს-161-159 (გ-14)).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე, განსჯადობის შესახებ და-ვის არარსებობის გამო, უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალა-ქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრის სარჩელი კ. ტ-ის წინააღმდეგ უსაფუძვლოდ აღებული სახელ-მწიფო გასაცემლის – პენსიის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუ-ნების თაობაზე დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-225-224(გ-16)

14 ივნისი 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ნ. ფ-ის სარჩელთან

დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღნერილობითი ნაწილი:

6. ფ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ სარჩელით მიმართა, რომლითაც მოითხოვა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 24 მარტის ბრძანების არარად აღიარება, სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 28 აპრილის ბრძანების ბათილად ცნობა, ნ. ფ-ის სიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენა, იძულებით განაცდეურის ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, ნ. ფ-ის 2012 წლის მუშაობდა სიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. სიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 24 მარტის ბრძანებით მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა და სახდელი – 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება. ეს ბრძანება გასაჩირა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. 2015 წლის 28 აპრილს, როდესაც მოსარჩელეს დროებითი შრომისუუნარობის გამო შრომითი ურთიერთობა შეჩერებული ჰქონდა, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით ნ. ფ-ი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადასცა.

სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილი დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. სადაცო ბრძანებების კანონიერების საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ვინაიდან მათი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს შრომის კოდექსი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნულ განჩინებას და წამონაყოფი დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილი დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. მოსარჩევე ითხოვს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 24 მარტის ბრძანების არარად აღიარებას. არარად აღიარება ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოწესრიგებული ცნებაა, გარდა ამისა, ბრძანება გამოიცა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სურსათის ეროვნული სააგენტოს შინაგანანესის“ მე-18 შესაბამისად, ხოლო მოსარჩევე, რომელიც დანიშნული იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, იკავებდა უფროსის მოადგილის თანამდებობას და ახორციელებდა საჯარო საქმიანობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 „ა“ მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ 6. ფ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანება ადმინისტრაციული აქტია და გათავისუფლების საფუძვლად შრომის კოდექსის მითითება არ არის საკმარისი დავის სამოქალაქო სამართლწარმოების წესით განხილვისათვის.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №ბს-132-123(კ-07) განჩინებაზე და მიიჩნია, რომ ამ განჩინებით განსაზღვრული განსჯადობის წესი უნდა გავრცელდეს სსიპ-ის უფროსის მოადგილებც და არა მხოლოდ სსიპ-ის ხელმძღვანელზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე მოიხმო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის 10^1 და 10^2 მუხლები, რომლებიც ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან და განმარტა, რომ საკანონმდებლო ორგანომ გაითვალისწინა რა ასეთი შინაარსის სამართლურთიერთობის რეალური საგნობრივი ხასიათი (ანუ ის მოცემულობა, რომ ასეთი ურთიერთობა თავისი შინაარსით ადმინისტრაციულია) მომავლისათვის საკანონმდებლო დონეზე განერა ასეთი დავების სამართლებრივი ბუნების კუთვნილება და მათი გადაწყვეტის საგნობრივი ქვემდებარეობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედე-

გად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ 6. ფ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, სააგვილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დაფის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკ-

რულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად ალიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დაგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მოუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილება შემთხვევაში, საქმის მასალებით ორკვევა, რომ 6. ფ-ი მუშაობდა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 24 მარტის ბრძანებით მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 28 აპრილის ბრძანებით 6. ფ-ი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს სსიპ-ის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელის განსაზღადობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაცო საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალა-

ტის განჩინება, რომელიც სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არას-ნორად განმარტა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2.1 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

ამავე კანონის მე-10 მუხლის 1-4 პუნქტების თანახმად კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით) და ამ პირის წესდებით (დებულებით). საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმებს უძლვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, ხოლო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვა-

ნელს – წევრთა საერთო კრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №ბს-132-123 (კ-07) განჩინებით განიმარტა, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხსიათი, ასევე – სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს, აღნიშნული ნიშნით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავდით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიეკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო). ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალნარმობის წესით“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ დიდმა პალატამ სსიპ-ის ხელმძღვანელი გამოყო სსიპ-ის სხვა თანამშრომლებისაგან და მისი გათავისუფლების შესახებ აქტის თაობაზე დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას მიაკუთვნა ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით: თანამდებობაზე დანიშვნის წესის და ხელმძღვანელის უფლებამოსილების საფუძ-

ველზე, ანუ, საჯარო მმართველობის ელემენტის არსებობის მხედველობაში მიღებით, სსიპ-ის ხელმძღვანელი საჯარო მოხელედ მიიჩნევა, სხვა თანამშრომლებისგან განსხვავებით. სწორედ ამ ორივე ელემენტის მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემული სარჩელის ფარგლებში, დიდი პალატის განმარტების გაფრცელება არ შეიძლება სსიპ-ის უფროსის მოადგილეზე.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის წარდგინებით, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, სააგენტოს უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, სააგენტოს უფროსის წარდგინებით, ამდენად, ცალსახაა, რომ პრინციპულად განსხვავდება სააგენტოს უფროსის და უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის წესი.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ნ. ფ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოცემულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძვლზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებმი საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი, საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამდებობები მითითებული არ არის.

საკასაციო სასამართლო, ზოგადად, ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ვრცელ განმარტებას საქმის კომპეტენტური სასამართლოს მიერ განხილვის აუცილებლობაზე, თუმცა ხაზს უსვამს, რომ სასამართლოს სპეციალიზაცია და დავის ამა თუ იმ სამართალწარმოების წესით განხილვა არ წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციის ელემენტს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სა-

სამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ სასამართლოს ძალუძს გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არამხოლოდ კერძო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და კერძო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს საჯარო-სამართლებრივი რეგულაციის ელემენტებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ 6. ფ-ი ითხოვს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 24 მარტის ბრძანების არარად აღიარებას. არარად აღიარება კი ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოწესრიგებული ცნებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს შრომის კანონმდებლობა. საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი მიუთითებს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომის გამოყენებაზე დასაქმებულის მიმართ, რაც განხორციელდა კიდეც ამ შემთხვევაში. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არც სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 24 მარტის ბრძანებას უდევს საფუძვლად საჯარო (ადმინისტრაციული) კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დისციპლინური ზომის არსებობა 6. ფ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი იყო, ამდენად, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერების შეფასება სამსახურში აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების ერთ-ერთი ნაწილია და აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა, ამ დავის ფარგლებში, დამოუკიდებლად განხილული ვერ იქნება. რაც შეეხება სასამართლოს მითითებას მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებაზე – ბრძანების არარად აღიარება და არა ბათილად ცნობა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს გარემოება, დავის სამოქალაქო წესით განხილვას ვერ დააბრკოლებს, ვინაიდან, კერძო სამართლის რეფიმშიც შესაძლებელია გარიგების შედაცება აქტის არარად აღიარებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული წინაპირობების მოშეველიერით.

საქალაქო სასამართლომ ასევე მოიხმო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის 10¹ და 10² მუხლები, რომელიც ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან და განმარტა, რომ საკანონმდებლო ორგანომ გაითვალისწინა რა ასეთი შინაარსის სამართალუროთი როგორივი ხასიათი (ანუ ის მოცემულობა, რომ ასეთი ურთიერთობა თავისი შინაარსით ადმინისტრაციულია) მომავლისათვის საკანონმდებლო დონეზე განერა ასეთი დავების სამართლებრივი ბუნების კუთვნილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლის თეორია, ნორმის დროში მოქმედების პრინციპი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის IV თავი დასაშვებად არ მიიჩნევს საკითხის გადაწყვეტას ასამოქმედებელი საკანონმდებლო აქტის შესაბამისად. ნორმის მოქმედება განსაზღვრულია მისი ძალაში შესვლის შემდგომი პერიოდით. მართალია, ზოგ შემთხვევაში, ნორმა ვრცელდება მის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლუროთი როგორი ძალა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, საუბარია ძალაში შესული ნორმის გავრცელებაზე წარსულ პერიოდზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამომავლოდ ასამოქმედებელი საკანონმდებლო აქტი ვერ გავრცელდება მოცემულ საქმეზე. ის გარემოება, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან სსიპის უფროსის მოადგილის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება ადმინისტრაციული დავების კატეგორიას მიეკუთვნება, გავლენას ვერ მოახდენს მანამდე განსახილველი სარჩელების განსჯადობაზე, ვინაიდან, საკითხი უნდა გადაწყვდეს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელი თბილის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ფ-ის სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილი-სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განხილვა

№ბს-411-406(გ-16)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე
3. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 25 თებერვალს ზ. ა-მა, თ. ქ-მა და რ. მ-მა სასარჩე-ლო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – თბილი-სის საქალაქო სასამართლოსა და მოსამართლე ლ. მ-ის მიმართ.

მოსარჩევებმა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მო-სამართლე ლ. მ-ის მხრიდან მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპ-ყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით ზ. ა-ის, თ. ქ-ისა და რ. მ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლო-სა და მოსამართლე ლ. მ-ის მიმართ მორალური ზიანის ანაზღა-ურების თაობაზე წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო ზ. ა-ის, თ. ქ-ისა და რ. მ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მოსამართლე ლ. მ-ის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დად-გენის ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩევი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე კოდექსის 363²-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩევი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსათვის სარჩევით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პირის ან ორგანოს მიერ საქმის განხილვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზენის უფლებამოსილ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მარტის განჩინებით ზ. ა-ის, თ. ქ-ისა და რ. მ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მოსამართლე ლ. მ-ის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ნაწილში საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სა-

მოქალაქო სამართალნარმოების წესით სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალს. ეს ნორმა იმის გათვალისწინებით, რომ ის ვერ იქნება სრულიად დეტალური და ამომწურავი, საბოლოო რეგულაციაში ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარებს სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდას საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მუშაობს მოსამსახურე, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ თანამდებობის პირისაგან (მოპასუხები – თბილისის საქალაქო სასამართლო; მოსამართლე დღ. მ-ე), შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სადავოდ

არ გახადა აღნიშნული დავის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განხილვა.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსარჩელეები მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ დისკრიმინაციის ფაქტის შესაძლო არსებობის გამო. კერძოდ, 2015 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა სასამართლო სხდომა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების: ა. ბ-ის, გ. ხ-ის, გ. კ-ას და დ. ფ-ას მიმართ, სადაც მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ნაწილობრივ დახურა სხდომა, მოსამართლემ სხდომის დარბაზის დატოვება მოსთხოვა დარბაზში დამსწრე ყველა იმ პირს, რომელიც პანკისის ხეობაში ცხოვრობდა. მოსამართლემ პირადობის მოწმობების შემოწმების შემდეგ პროცესზე მხოლოდ ის პირები დატოვა, ვისაც პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში დაბადების ადგილად მითითებული არ ჰქონდა პანკისის ხეობა, რითაც მოსარჩელების აღნიშნით, მოსამართლემ მოახდინა დისკრიმინაციული დიფერენცირება პირთა დაბადების ადგილის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სარჩელის არსი არის მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის გამო.

სასამართლოს აზრით, ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალნარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შეფავება, თავისთავად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ ზოგადი წესით, რითაც ძირითადი საკითხი განიხილება.

ვინაიდან, მოსარჩელეთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, შესაბამისად, სარჩელის ხელოვნურად დაყოფა ცალკე ელემენტებად შეუძლებელია და დავა საჯარო-სამართლებრივი ხასიათისაა და გამომდინარეობს საჯარო კანონმდებლობიდან. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა ცალ-ცალკე სამართალნარმოების წესით არამართლებულია, რის გამოც დავის საგნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს მოსარჩელის უფლების ხელყოფას, მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ. აღნიშნული იქნება იმ გონივრული ვადის სტანდარტის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6

მუხლში, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩევების შესაძლო დარღვეული უფლების აღდგენისაკენ მიმართული ქმედებების სამართლებრივი შეფასება და გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს სამართლის შესაბამისი დარგის – ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებით, რასაც სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, სწორედ ადმინისტრაციული სამართალნარმოების გზით უნდა მოხდეს ასევე მიმდინარე მოთხოვნის გადაწყვეტაც.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალნარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალნარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული სამართალნარმოება, განსხვავებით სამოქალაქო სამართალნარმოებისაგან – ინკვიზიციურია. ამ სამართალნარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – ადმინისტრაციული ორგანო ხშირ შემთხვევაში ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩევეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მოგებიან ვითარებაში ამყოფებს. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი სამართალურთიერთობის სამოქალაქო სამართალნარმოების წესით გადაწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობად მოვიაზროთ, ნამდვილად არ იქნებოდა შესაბამისობაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ საერთაშორისო რეგულაციებთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსაზიდველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაც დაცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩევის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გა-

მომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-ლობიდან, ანუ მოსარჩევის მიერ მითითებული საკუთარი უფ-ლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-ბის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მი-იჩევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოად-გენს ზ. ა-ის, თ. ქ-ისა და რ. მ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპ-ყრობის ფაქტის დადგენა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, 2015 წლის 24 ნოემბერს ჩატარ-და სასამართლო სხდომა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალ-დებულების: ა. ბ-ის, გ. ხ-ის, გ. კ-ას და დ. ფ-ას მიმართ, სადაც მოსამართლემ ნაწილობირივ დააკმაყოფილა ბრალდების მხა-რის შუამდგომლობა და ნაწილობრივ დახურა სხდომა, მოსამარ-თლემ სხდომის დარბაზის დატოვება მოსთხოვა დარბაზში დამ-სწრე ყველა იმ პირს, რომელიც პანკისის ხეობაში ცხოვრიბდა. მოსამართლემ პირადობის მოწმობების შემოწმების შემდეგ პროცესზე მხოლოდ ის პირები დატოვა, ვისაც პირადობის და-მადასტურებელ მოწმობაში დაბადების ადგილად მითითებული არ ჰქონდა პანკისის ხეობა, რითაც მოსარჩელების აღნიშვნით, მოსამართლემ მოახდინა დისკრიმინაციული დიფერენცირება პირთა დაბადების ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაცი-ის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასა-მართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინა-აღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინა-ცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერია-ლური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესა-ბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განი-საზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართლნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა გან-ხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან და-კავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვა-ლისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო გან-
მარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქ-
ტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის
ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო დავათა კატეგორიას მი-
ეკუთვნება. სადაც სამართლურთოერთობა არ გამომდინარე-
ობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლო-
ბიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის
ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაემაყოფილების სამარ-
თლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებ-
ლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. ამდენად, მოსარჩე-
ლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კერძო-სამარ-
თლებრივია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციუ-
ლი საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარ-
ჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მი-
თითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნ-
და წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია
განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამას-
თან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასა-
მართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო
სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესა-
ხებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლება-
თა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახ-
მად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი
და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძვლზე შექმნი-
ლი დამოუკიდებელი და მიუკრძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სამოქა-
ლაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით,
რომ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიის მხრიდან სადაცოდ არ გამხდარა მო-
რალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ადმინის-
ტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა, შესაბამი-
სად, სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციის ფაქტის დადგე-
ნის ნაწილშიც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით
განსახილველია და მიუთითებს საქართველოს უზენაეს სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.2016წ. გან-
ჩინებაში გაკეთებულ განმარტებაზე (საქმე №ბს-224-223(გ-16),
თ. ჭ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალი-
ტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ) – „საკასაციო
სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვ-

ნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადაცო სასამართლურთიერთობა ძირითადი სასამარჩელო მოთხოვნის ნაწილში – თ. ჭ-ისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართლარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს“.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – ზ. ა-ის, თ. ქ-ის და რ. მ-ის სარჩელისა გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მოსამართლე ლ. მ-ის მიმართ, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-474-469(გ-16)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 21 მარტს მ. ხ-ემ და ა. დ-ემ სასარჩელო განცხა-
დებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუ-
ხის – ნ. ხ-ას მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 12 აგვისტოს მ. ხ-
ესა და მ. დ-ას შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომ-
ლის საფუძველზეც მ. ხ-ემ მ. დ-ას სესხის სახით გადასცა 9000
აშშ დოლარი, სესხის სარგებელს კი წარმოადგენდა მსესხებ-
ლის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე: ქ. თბილისი, ... №10.
აღნიშნული სესხის ხელშეკრულება დაამოწმა ნოტარიუს ნ. ხ-
ას შემცვლელმა პირმა მ. შ-მა. ანალოგიური სესხის ხელშეკრუ-
ლება გაფორმდა 2014 წლის 30 ოქტომბერს ა. დ-ესა და მ. დ-ას
შორის, რომლის საფუძველზეც ა. დ-ემ მ. დ-ას სესხის სახით
გადასცა 7000 აშშ დოლარი, სესხის სარგებლად ასევე განისაზ-
ღვრა მსესხებლის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე: ქ.
თბილისი, ... №10. აღნიშნული სესხის ხელშეკრულება დაამოწ-
მა ნოტარიუსმა ნ. ხ-ამ. მ. დ-ამ ა. დ-ეს დაუბრუნა 1000 აშშ დო-
ლარი, რის გამოც ა. დ-ის მიმართ დარჩენილმა ვალდებულებამ
შეადგინა 6000 აშშ დოლარი.

მოსარჩელეთა მითითებით, ნოტარიუსმა მსგავსი ხელშეკ-
რულებები ერთი და იმავე უძრავ ქონებაზე გააფორმა ათობით
სხვა პიროვნებასთან. ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს
2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით მ. დ-ა ცურნბილ იქნა
დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-
ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3
ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩა-
დენისთვის.

მოსარჩელეთა განმარტებით, ნოტარიუსმა ზემოაღნიშნული სესხის ხელშეკრულებების გაფორმებისას დაარღვია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი, არ შეამოწმა ხელშეკრულებების კანონიერება, რამაც გამოიწვია მათთვის მატერიალური ზიანის მიყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოპასუხე ნოტარიუს ნ. ხ-ასთვის მატერიალური ზიანის სახით ა. დ-ის სა-სარგებლოდ – 6000 აშშ დოლარის, ხოლო მ. ხ-ის სასარგებლოდ – 9000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით საქმე მ. ხ-ის და ა. დ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ნოტარიუს ნ. ხ-ას მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილებად გადა- ეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირვე- ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინის- ტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორ- განოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიატი არის საჯა- რო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწი- ფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებ- რივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტუ- რება. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თა- ნახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუ- ფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმე- დებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლე- ბამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების სა- ფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ნო- ტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურეობრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნო- ტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის. „ნოტარიატის შესა- ხებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ნოტარი- უსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რო- მელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმე- დებამ.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, „სანოტარო

მოქმედებათა შესრულების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი არის პირი, რომელიც დანიშნულია ამ თანამდებობაზე „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამავე კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო უფლებამოსილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ეს არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში აღძრული სარჩელი გამომდინარეობს ნოტარიუსის მიერ სესხის ხელშეკრულებების გაფორმების დროს მისი უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მხარეთათვის ზიანის მიყენებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ნოტარიუსს დაკისრებული აქვს სახელმწიფოებრივი, იგივე საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულება, იგი თავისი სტატუსითა და საქმიანობით უთანაბრდება და წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. შესაბამისად, დავა ისეთი ზიანისათვის, რომლის წარმოშობაც უკავშირდება ნოტარიუსის მიერ მისთვის დაკისრებული საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში შესრულებულ რაიმე სახის კონკრეტულ სანოტარო მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად დამდგარ ზიანს, განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, აღძრული სარჩელი თავისი შინაარსით ეხება ნოტარიუსისათვის ისეთი სახის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, რომელიც გამომდინარეობს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში შესრულებულ რაიმე სახის კონკრეტულ სანოტარო მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად დამდგარ ზიანს, განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის განჩინებით მ. ხ-ის და ა. დ-

ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ წარმოადგენს მოცემულ დავაზე განსჯად სასამართლოს და მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, სადაც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაც ურთიერთობის შინაარსს და დავის საგანს. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეები ითხოვენ ნოტარიუსის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს თავისი მუშავის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას. ამასთან, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის. სახელმწიფო კი პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისთვის.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმართული იყოს სახელმწიფოს, მისი რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართლებრივ წარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს სპეციალური სუბიექტი – ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის განჩინებაზე (საქმე №ძს-177-173(გ-08)), სადაც განმარტებულია, რომ ფორმალური თვალსაზრისით სანოტარო მოქმედების შესვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას „ნოტარიატის შესახებ“ კანონის საფუძველზე. ამასთან, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მითითებით, სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ დავები ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე განიხილება სამოქალაქო სამართლწარმოების გზით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-194-181-2015).

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტის რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკავაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-მდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლანწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონანილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს მოპასუხე ნოტარიუს 6. ხ-ასთვის მატერიალური ზიანის სახით ა. დ-ის სასარგებლოდ – 6000 აშშ დოლარის, ხოლო მ. ხ-ის სასარგებლოდ – 9000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფორმალური თვალსაზრისით სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზ უფლებამოსილებას „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლანწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული

სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ნოტარიუსის ქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანხმად, ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისთვის. ამასთან, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. საკასაციო სასამართლოს მააჩნია, რომ ნოტარიუსი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული ორგანო თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე. ნოტარიუსის მიერ კანონით მინიჭებული სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება არ განეკუთვნება მმართველობით სფეროში განხორციელებულ ლონისძიებას, არ გააჩნია ადმინისტრაციული ორგანოსთვის დამახასიათებელი ელემენტები, რაც მას, როგორც ინსტიტუტს, მოაქცევდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დეფინიციაში.

შესაბამისად, განსაზილველ შემთხვევაში დავა ფიზიკურ პირებსა და ნოტარიუსს შორის მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხილვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ მ. ხ-ისა და ა. დ-ის სარჩელი სამოქალაქო სამართლარმოების წესით განსაზილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსაზილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – მ. ხ-ის და ა. დ-ის სარჩელისა გამო, ნ. ხ-ას მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

3. ტერიტორიული განსჯადობა

განვითარება

№ბს-589-582(გ-15)

28 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
გ. ვაჩაძე
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, გა-
ნიხილა მოქალაქე გ. გ-ის განცხადებასთან დაკავშირებით დავა
განსჯადობის თაობაზე გორის რაიონულ სასამართლოსა და
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამარ-
თლოს მოპასუხების სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს
მიმართ და მოითხოვა სარჩელის აღძევრამდე, სარჩელის უზრუნ-
ველყოფის ონისისძიების გამოყენების მიზნით, სახელმწიფო სა-
კუთრებაში მყოფ გორის რაიონის სოფ.... მდებარე სასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწებისათვის (საკადატრო კოდით:
... და) ყადაღის დადება.

განცხადებელმა აღნიშნა, რომ გორის რაიონული სასამარ-
თლოს 07.08.2012წ. პრძანებით დაკმაყოფილდა სსიპ „შემოსავ-
ლების სამსახურის“ შუამდგომლობა, რომლითაც კ. ტ-ის საგა-
დასახადო დავალიანების დასაფარად აუქციონის წესით უნდა
გაყიდულიყო გორის რაიონის სოფ.... მდებარე სასოფლო-სამე-
ურნეო დანიშნულების მიწები საკადასტრო კოდით: ... და

გ. გ-მა 19.07.2013წ და 25.02.2014წ. განცხადებებით მიმართა
სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა მის ცრუმაგიერ
პირებად კ. ტ-ის და თ. ხ-ის (ცნობა. განცხადებელმა მიუთითა,
რომ გადასახადების გადახდევინების უზრუნველყოფის ონის-
ძიებების თავიდან არიდების მიზნით, გორის მუნიციპალიტე-

ტის სოფელ ... მდებარე 30 ჰა მიწის ნაკვეთი გადააფორმა დეიდაშვილზე-კ-ტ-ზე, ხოლო მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის ავტომანქანა რავ4 (სახ. №JCJ-853) – მძახალზე – თ. ხ-ზე, რაც ასევე განცხადებით დადასტურეს ამ უკანასკნელებმა. გორის რაიონული სასამართლოს 23.09.2014ნ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სარჩელი, კ. ტ-ი და თ. ხ-ი აღიარებულ იქნენ გ. გ-ის ცრუმაგიერ პირებად.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ გორის რაიონის სოფელ ... მდებარე კ. ტ-ის სახელზე რეგისტრირებულ მიწებზე საკადასტო კოდით ... და ... შემოსავლების სამსახურის აღმინისტრირების დეპარტამენტის 17.06.2015წ. №21473 ბრძანებით გაუქმდა ყადაღა და ეს მიწები დარეგისტრდა სახელმწიფო საკუთრებად.

განმცხადებელი უთითებს, რომ აპირებს სარჩელის აღძვრას შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რადგან მათ დაარღვიეს კანონი და არ აღარულეს კანონიერ ძალაში შესული გორის რაიონული სასამართლოს 07.08.2012წ. გადაწყვეტილება.

გორის რაიონული სასამართლოს 06.08.2015წ. განჩინებით გ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების“ მე-2 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ახორციელებს სააღსრულებო საქმიანობას, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ. ტერიტორიულ ორგანოებს საკუთარი სახელით სასამართლოში მოპასუხედ გამოსვლის უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობით არ გააჩნიათ. ამდენად, მოცემულ საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხევანი მე-10 კილომეტრი, შესაბამისად სახეზე არ არის განსაკუთრებული განსჯადობის შემ-

თხვევა და ტერიტორიული განსჯადობა უნდა გადაწყდეს საერთო განსჯადობის წესების დაცვით ანუ მოპასუხების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.08.2015წ. განჩინებით გ.გ.-ის განცხადება სარჩელის აღძრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი სარგებლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თვითონ ირჩევს მოპასუხებ მხარეს. ამდენად, ვიდრე არ მოხდება საქმის განხილვისას მოსარჩელის თანხმობით მოპასუხეთა წრის დაზუსტება სასამართლო ვერ იმსჯელებს იმაზე არის თუ არა მოსარჩელის მიერ დასახელებული მოპასუხე სათანადო მოპასუხე ანუ წარმოადგენს თუ არა მოცემულ დავაში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო სათანადო მოპასუხეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების ან/და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედების განხორციელების შესახებ დავის აღძრის შემთხვევაში სათანადო მოპასუხედ მხოლოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიჩნევა, მისი ტერიტორიული ადგილსამყოფელის გათვალისწინებით (ქ.თბილისი) გამოიწვევს ამ კატეგორიის საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში თავმოყრას და დავათა განხილვის გაჭიანურებას. სასამართლომ მიუთითა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 5.1. მუხლის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ გ.გ.-ის განცხადება, სარჩელის აღძრობამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განხილულ უნდა იქნეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლის იურიდიული მისამართია – გორი, დავით გურამიშვილის ქუჩა №5,

რის გამო განსახილველ შემთხვევაში უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს – გორის რაიონული სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე გორის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ გ-გ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობას, შესაბამისად, უნდა შეფასდეს თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები, რომლის თანახმად განსჯადი საერთო სასამართლო დგინდება ტერიტორიული ნიშნის ანუ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხსიათის მიუხედავად თავად სარჩელი დისპოზიციურია. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი სარგებლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თავად ასახელებს მოპასუხე მხარეს. სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელებმ სათანადო მოპასუხე არ დაასახელა, არ ქმნის სარჩელის იმ სასამართლოსათვის განსჯადობით გადაგზავნის საფუძველს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მდებარეობს სასამართლოს აზრით სათანადო მოპასუხე. სასამართლო საკუთარი ინიციატივით არასათანადო მხარეს ვერ შეცვლის, თუ სასამართლო თვლის, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით და არა თავისი ინიციატივით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი გ. გ-ი პირებს სარჩელის აღძვრას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, ბიუროს ამ ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელთა მოქმედება/უმოქმედებოთ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 30.05.2014წ. №634 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს დებულების“ მიხედვით, ბიუროს ადგილაშეყველია ქ. გორი, გურამიშვილის ქუჩა №5. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების ან/და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედების განხორციელების შესახებ დავის ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ადგილმდებარების მიხედვით გადაწყვეტა, გამოიწვევს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში თავმოყრას, საქალაქო სასამართლოს სააღსრულებო დავებით გადატვირთვას, დავათა განხილვის გაჭირებას.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ იზიარებს, გორის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების ან/და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედების განხორციელების შესახებ დავის აღსროის შემთხვევაში, სათანადო მოპასუხედ გა-

მოდის მხოლოდ აღსრულების ეროვნული ბიურო და არა მისი ტერიტორიული ორგანოები. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოებისათვის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევა არ ადასტურებს დავის თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადობას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით, სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უმუალოდ აღასრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, აგრეთვე, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირები. მოცემულ შემთხვევებში, განმცხადებელს სურს სარჩელის აღძვრა სწორედ ტერიტორიული ორგანოების – შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს ნინააღმდეგ, რადგან გ. გ-ი თვლის, რომ ამ ტერიტორიული ორგანოების ქმედებით მოხდა მისი უფლებების დარღვევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობა უნდა გადაწყდეს მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ განცხადების განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო, კერძოდ, გორის რაიონული სასამართლოს მიერ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-

ცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უძრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განსჯადობით დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განხილვა

№ბს-1-1(გ-16)

22 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საერთო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ე. შ-ას განცხადებას-თან დაკავშირდით ნარმობობილი დავა განსჯადობის შესახებ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 15 ოქტომბერს ე. შ-ამ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა, რომლითაც მამის, 6. შ-ას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს სსრ შინსახეომ-

თან არსებული ყოფილი განსაკუთრებული სამეულის 1937 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით, სისხლის სამართლოს კოდექსის 58-7, 58-10 მუხლების საფუძველზე ნ. შ-ას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების პირველი მუხლის თანახმად ნ. შ-ა რეაბილიტირებულია.

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინებით განცხადება განსჯადობით განსახილველად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაეცავნა.

განჩინების თანახმად, მოცემულ განცხადებაზე ვრცელდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²⁶ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური განსჯადობის წესები, ამდენად, განცხადება წარდგენილი უნდა ყოფილიყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონული სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²⁶ მუხლი და „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა მსხვერპლთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ადგენს ალტერნატიულ განსჯადობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს ეკუთვნის. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ განსჯად სასამართლოდ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონული სასამართლო მიიჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონულ სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტილად დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ე. შ-ას განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

მოცემულ შემთხვევაში, სადაც ვა პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება. ადმინისტრაციული კანონმდებლობა ამ ტიპის დავებისათვის სპეციალურ განსჯადობას ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომ ე. შ-ას განცხადება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს განსჯადია, მაგრამ არ იზიარებს განმარტებას, რომ ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²⁶ მუხლი და „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა მსხვერპლთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი აღტერნატიულ განსჯადობას ადგენს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁷ თავი შეეხება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირი-სათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის წესს. კოდექსის 21²⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესიორებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს. უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის

მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა წარუდგენს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ თავის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისიდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისიდიქცია – დასავლეთ საქართველოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²⁶ მუხლი სპეციალური წორმაა და ადგენს მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებული სარჩელის განსჯადობას. განსახილველ შემთხვევაში კი, ე. შ-ა მამის, ნ. შ-ას, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას ითხოვს და არა კომპენსაციის მიღებას.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი წარუდგენს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს რეპრესირებული პირი ან მისი კანონით მემკვიდრე, შესაბამისად, აღნიშნული წორმა ასევე ადგენს სპეციალურ განსჯადობას და ითვალისწინებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განცხადების შეტანას რეპრესირებული პირის ან მისი მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²⁶ მუხლი და კანონის მე-7 მუხლი შეეხება სხვადასხვა სასარჩელო მოთხოვნის განსჯადობას და მოსარჩელე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შე-20 მუხლის შესაბამისად სასამართლოს არჩევის უფლებით არ სარგებლოს. თუ მოსარჩელე (განმცხადებელი) ითხოვს პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას, განცხადება შეიტანება რეპრესირებული განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედ სასამართლოში, ხოლო თუ აღძრულა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე – ასკ-ის 21²⁶ მუხლის შესაბამისად, თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ე. შ-ას (ნ. შ-ას პირველი რიგის მეტყვიდრის) მისამართია გალის რაიონი, სოფ. საბერიო, ამდენად, წარმოდგენილი განცხადება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 408-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. შ-ას განცხადება განსჯადობით დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№პს-4-4(გ-16)

22 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე მომსენებელი),
6. სიირტლაძე
3. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ნ. დ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობს შესახებ მცხე-თის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

6. დ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა, რომლითაც მოითხოვა თიღვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის 2015 წლის 10 აგვისტოს №29 დასკვნის ბათილად ცხობა, მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად მცხეთის რაიონულ სასამართლოს გადაუზავნა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების კანონიერება, რა დროსაც, საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე, სარჩელი უნდა განიხილოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. ვინაიდან თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი, მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ 6. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება მცხეთის რაიონული სასამართლოს განმარტებას, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე. კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც მდებარეობს უძრავი ქონება ან წარმოიშვა სამართალურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, თიღვის მუნიციპალიტეტი არ მიეკუთვნება მცხეთის რაიონს და ეს ტერიტორიული ერთეული ხაშურის რაიონული სასამართლოს იურისდიქციაშია მოქცეული, მაგრამ ვინადან მუნიციპალიტეტის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მისი მმართველობის ორგანოები განთავსებულია თბილისში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული იურიდიული პირის (დაწესებულების) ადგილ-სამყოფელი გულისხმობს მისი რეალური მოქმედების ადგილის

მიხედვით სარჩელის შეტანას. საქმის მასალები ადასტურებს, რომ თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მისამართია თბილისი, დავით ალმაშენებლის გამზ. 89/24, შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. დ-ის სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-141-140(გ-16)

7 პპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. ვაჩაძე

ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე გა-
ნიხილა ააიპ „...“ სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა
განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და
რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღნიშვნილობითი ნაწილი:

ააიპ „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სისიპ
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ და მო-
ითხოვა „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქო-
ნების ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატე-
ბითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სისიპ სახელმწიფო
ქონების ეროვნულ სააგენტოს 07.09.2015წ. ბრძანების ბათი-
ლად ცნობა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ. რუსთავის გამგეობის 16.12.1992წ. გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გატარდა საქ-
ველმოქმედო ორგანიზაცია „ი. ე-ო“, რომლის საქმიანობის სა-
ხეობად ამავე უწყების მიერ 1992 წლის დეკემბრის თვეში გა-
ცემული მუდმივი მოწმობის თანახმად განისაზღვრა მარტოხე-
ლა, ხანდაზმული, ინვალიდების სოციალური დაცვა, სამედიცი-
ნო და სხვა საყოფაცხოვრებო საქმიანობის მომსახურება. ქ. რუს-
თავის მერის 22.10.1993წ. №539 განკარგულებით რუსთავის №...
შენობა უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის ...
არსებული მარტოხელა პანსიონატს, მოსარჩელემ სარჩელში აღ-
ნიშნა, რომ მითითებულ შენობაში საქველმოქმედო ორგანიზა-
ცია „ი. ე-ო“ წლების განმავლობაში დამოუკიდებლად ეწევა საქ-

ველმოქმედო საქმიანობას და შემოწირულობების ხარჯზე ემ-სახურება მარტოხელა ხანდაზმულებს. შემოწირულობების ხარ-ჯზე შესაძლებელი გახდა ძველი დანგრეული შენობის აღდგენა და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მითითებული ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ რამოდენიმეჯერ მიმართეს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას „ფიზიკური და კერ-ძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებ-ლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მონმობის ფორმის დამტკი-ცების შესახებ“ კანონის შესაბამისად, თუმცა უშედეგოდ. მო-სარჩელე უთითებს, რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ი. ე-ო“ ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ქონება ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტს გადაეცა თანახმად „სა-ხელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. რუს-თავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-ნული სააგენტოს 07.09.2015ნ. ბრძანებისა. კერძოდ, ქ. რუსთა-ვის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადაეცა ქ. რუსთავში ... მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსე-ბული 8445 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 3 (სამი) შენობა-ნაგებობით. მო-სარჩელე თვლის, რომ მითითებული ბრძანება არის უკანონო, რის გამოც ითხოვს მის ბათილად ცნობას სზაკ-ის 53-ე, 60¹, 95-ე მუხლების შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 26.01.2016ნ. განჩინებით სარჩელი განსჯადო-ბით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასა-მართლოს, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან სა-დაცო უძრავი ნივთი მდებარეობს რუსთავში, მოცემულ შემ-თხევებაში განსჯად სასამართლოს ნარმოადგენს რუსთავის სა-ქალაქო სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუ-თითა საკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, 26-ე მუხლზე, საკ-ის მე-15, 284-286-ე მუხლებზე და ააიპ „...“ სარჩელი გან-სჯადობით განსახილველად გადაუგზავნა რუსთავის საქალა-ქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 29.01.2016ნ. განჩინებით ააიპ „...“ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გა-დასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართვე-

ლოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. რუსთავის საქალაქო სასამართლომ სსკ-ის მე-15 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ საქმე ეხება ტერიტორიულ განსჯადობას. ვინაიდან დავის საგანია არა საკუთრება უძრავ ქონებაზე, არამედ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხედ დასახელებულია აქტის გამომცემი ორგანო, სარჩელი უნდა იქნეს განხილული მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. სასამართლებმა სადაც აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება საქმე განსახილველად. მით უფრო მაშინ, როდესაც დავის საგანია არა უძრავ ნივთთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. ვინაიდან გასაჩივრებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის ადგილსამყოფლია ქ. თბილისი, ... № 12, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯადი სასამართლო არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნ საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განსაზღვრებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერი-

ტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

სარჩევლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩევე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისტიკია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. სსკ-ის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა განსჯადობის განსაზღვრის შესაძლებლობას უძრავი ნივთის ფაქტორივი ადგილსამყოფლის მიხედვით (სუს 23.01.15წ. №ბს-816-802(გ-14); 04.06.15წ. №ბს-280-276(გ-15)). მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება არა უძრავ ქონებას, არამედ უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 07.09.2015წ. ბრძანების) კანონიერებას. ტერიტორიული განსჯადობა წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მოიცავს მხოლოდ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 07.09.2015წ. ბრძანების ბათილად ცნობას, მოპასუხედ დასახელებულია მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, შესაბამისად სახეზე არ არის აღტერნატიული განსჯადობა. „საჯარო სამართლის იურიდული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულე-

ბის დამტკიცების „შესახებ“ საქართველოს მთავრობის 17.09.2012 წ. №391 დადგენილების თანახმად აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მისამართია ქ. თბილისი, ... ქ. №12.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ ააიპ „...“ სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლის იურის-დიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს აქტის გამომცემი ორგანო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

დადგინდება:

1. ააიპ „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-758-750(გ-16)

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. ვაჩაძე

ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, გა-
ნიხილა ი. ჩ-ას და ც. შ-ას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად
აღიარების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებული დავა,
განსჯადობის თაობაზე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოსა და
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ჩ-ამ და ც. შ-ამ განცხადებით მიმართეს ზუგდიდის რაიო-
ნულ სასამართლოს და მოითხოვეს პოლიტიკური რეპრესიის
მსხვერპლად აღიარება. განცხადებლებმა მიუთითეს, რომ მათ
მშობელს – ა. ჩ-ას საქართველოს სსრ შინსახეომთან არსებული
სამეულის 13.12.1937 დადგენილებით მიესაჯა სასჯელის უმაღ-
ლესი ზომა – დახვრეტი, რომელიც სისრულეში 30.12.1937ნ. იქ-
ნა მოყვანილი. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
16.01.1989ნ. ბრძანებულების საფუძველზე მოხდა ა. ჩ-ას რეა-
ბილიტაცია. მითითებული გარემოებების საფუძველზე ი. ჩ-ა და
ც. შ-ა ითხოვენ მათი მშობლის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერ-
პლად აღიარებას.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 28.09.2015წ. განჩინე-
ბით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთა-
ისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ მიუთითა სასკ-ის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ პოლიტიკური
რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განცხადება გამომ-
დინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და განხი-
ლული უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-
სით. სასამართლომ ასევე მიუთითა სასკ-ის 21²⁶ და 26-ე მუხ-

ლებზე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლზე და აღნიშნა, რომ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ რეპრესირებულ პირს, მის პირველი რიგის მემკვიდრეს ან მათ წარმომადგენელს არაუგიანეს 2018 წლის 01 იანვრისა. სარჩელი წარედგინება რეპრესირებული პირის ან მისი მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. აღნიშნულ ნორმაზე მითითებით ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმე განსჯადობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს უნდა გადაგზავნოდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2015წ. განჩინებით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, სასკ-ის 21st, 26-ე მუხლებზე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის, მე-7 და მე-9 მუხლზე და აღნიშნა, რომ ი. ჩ-ას და ც. შ-ას საცხოვრებელი მისამართია ქ. ზუგდიდი, სსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. მოსარჩელემ განსჯად სასამართლოდ მიიჩნია ზუგდიდის რაიონული სასამართლო. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ განსჯადობის შესახებ სასამართლოებს შორის დავა გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნ საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით გან-

სახილველად უნდა დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონულ სა-
სამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო
უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯა-
დობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო-
ებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერი-
ტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვა-
ლისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ და-
ვის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა
მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის სა-
კითხზე.

ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპ-
ში, რომლის მიხედვით მოსარჩევე მიმართავს მოპასუხის სასა-
მართლოს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში კანონი „საქართვე-
ლოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღი-
არებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“
უმუალოდ განსაზღვრავს განცხადების განმხილველ სასამარ-
თლოს, კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად განცხადე-
ბა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესა-
ხებ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერი-
ტორიაზეც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს რეპრესირებუ-
ლი პირი ან მისი მემკვიდრე. ზუგდიდის რაიონულმა სასამარ-
თლომ საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსჯადო-
ბით განსახილველად გადააგზავნა დავის საგნის გაუთვალის-
წინებლად. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მსჯელობა ემ-
ყარება სასკ-ის VII⁷ თავის ნორმებს, რომლებიც განსაზღვრა-
ვენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის
და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსა-
ციის გაცემასთან დაკავშირებულ სამართალნარმოების წესს.
მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილია არა ფულადი კომპენსა-
ციის გაცემა, არამედ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად
აღიარება, რის გამო საფუძველს არის მოკლებული განსჯადი
სასამართლოს გადაწყვეტა სასკ-ის 21²⁶ მუხლისა და „საქართვე-
ლოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღი-
არებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კა-
ნონის მე-9 მუხლის დანაწესების მიხედვით. მოცემულ შემთხვე-
ვაში „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების
მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური
დაცვის შესახებ“ კანონის 7.1 მუხლის დანაწესიდან გამომდი-
ნარე განსჯადია ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერი-
ტორიაზეც ცხოვრობს განმცხადებელი. განსახილველ შემთხვევ-

ვაში განმცხადებლების – ი. ჩ-ას და ც. შ-ას საცხოვრებელი ადგილი არის ქალაქი ზუგდიდი. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების მე-19 მუხლის თანახმად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ზუგდიდის, მესტიის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა არ იზიარებს აგრეთვე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მითითებას ალტერნატიული განსჯადობის არსებობაზე, რომლის პირობებშიც განსჯადი სასამართლო მოსარჩელის არჩევით დგინდება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ ალტერნატიულ განსჯადობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოსარჩელეს შეუძლია სარჩელი აღძრას მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, მისი ადგილმდებარეობის ან მისი ქონების ადგილმდგომარეობის მიხედვით, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს აირჩიოს სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ალტერნატიული განსჯადობა, ვინაიდან კანონი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს განსჯად სასამართლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ჩ-ას და ც. შ-ას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განცხადება განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ჩ-ას და ც. შ-ას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განცხადება განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განვითარება

№ბს-300-298(გ-16)

2 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 28 მარტს დ. უ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა აღიარებულ იქნას სსიპ სოხუმის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე უფროსი
მასწავლებლის თანამდებობაზე მუშაობის ფაქტი 1991 წლის
სექტემბრიდან 1993 წლის სექტემბრამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 4 აპრილის განჩინებით დ. უ-ს სარ-
ჩელი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ გან-
სახილველად გადაეგზავნა განსჯად სოხუმისა და გაგრა-გუდა-
უთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელზე მოპასუხეს წარმო-
ადგენს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აფხაზეთის არ აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავ-
ტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღ-
დგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტო-
რიაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანებით დამტკიცებულ
იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოხუმის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის პირველი მუხლის მე-
8 პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის იურიდიული მისამარ-
თია: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9. თავისი ფუნქციის
განხორციელებისას, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტი როგორც ადმინისტრაციული უწყება, წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. ქ. თბილისი არის სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილ-სამყოფელი.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 38¹ მუხლის თანახმად, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განსაზღვრულია ქ. თბილისი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე – სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ადმინისტრაციული უწყება, წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას და იგი განთავსებულია: ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9, ასევე, ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6 მდებარეობს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო, შესაბამისად, სასამართლომ განსჯად სასამართლოდ მიიჩნია სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინებით დ. უ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაზყვეტად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადაც უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამ მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის განსჯადობის წესი მოქმედებს მაშინ, თუკი ორივე მხარე იძულებით გადაადგილებული პირია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია დ. უ-ის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იმთავითვე გამორიცხავს სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონუ-

ლი სასამართლოს იურისდიქციისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექ-ვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგე-ნილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო გან-სჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩე-ლი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედ-ვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასა-მართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტო-რიულ განსჯადობაზე და საერთო წესის თანახმად სარჩელი წარ-დგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აწესებს აფხაზეთის სასამარ-თლოებისათვის ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სა-ქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადაც უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-

კის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

ამდენად, აფხაზეთის არ სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარს და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია მოსარჩეულზე, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირზე, რაც გამორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელე – დ. უ-ს არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი.

განსახილველ შემთხვევაში აღიარებითი სარჩელის საფუძვლზე დ. უ-ი ითხოვს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წლის სექტემბრიდან 1993 წლის სექტემბრამდე ისტორიის ფაკულტეტზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე მუშაობის ფაქტის აღიარებას. ამდენად, მოცემულ აღიარებით სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე (თბილისი, ზუგდიდი, ქუთაისი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანებით დამტკიცებულ იქნა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ დ. უ-ს, რომელსაც არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, რაც გამორიცხავს მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურის-

დიქციისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობას, რა დროსაც გამოყენებულ უნდა იქნეს არა სკ-ის 439-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესი, არამედ სკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესი, ანუ სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯად სასამართლოს.

„საერთო სასამართლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დ. უ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. უ-ის სარჩელი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განვითარება

№ბს-265-263(გ-16)

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სარჩელთან
დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიასა და ბოლნისის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღნიშვნილობითი ნაწილი:

შპს „...“ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრა-
დი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. მოსარ-
ჩელებ მოითხოვა 2012 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრუ-
ლების მოშლისა და პირგასამტებლოს გადახდევინების შესახებ
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №1/1-3235
ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის
№1-1/56 ბრძანების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური
აქტის გამოცემა.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულებისა და შპს „...“ და საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული ნას-
ყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...“ პირდაპირი მი-
ყიდვის ფორმით 296 960 ლარად საკუთრებაში გადაეცა დმანი-
სის მუნიციპალიტეტში მდებარე 55 ერთეული სასოფლო-სამე-
ურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი. ხელშეკრულების საფუძ-
ველზე შპს „...“ დაევალა გადაცემულ ქონებაზე 6 თვის ვადაში
ფერმის მშენებლობა, ხოლო 18 თვეში – რძის გადამამუშავებე-

ლი ქარხნის მოწყობა, მიწის ნაკვეთების დამუშავება. შპს „...“ ასევე დაევალა 8000000 ევროს ინვესტიციის განხორციელება და 800000 ევროს უპირობო, გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა. მოსარჩელემ ვალდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულა, რადგან გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე შეიჭრა ადგილობრივი მოსახლეობა და სამუშაოების წარმოების საშუალება არ მისცა, რის შესახებაც შპს „...“ აცნობა სააგენტოს, სამინისტროს და ადგილობრივ ხელისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოსათვის ცნობილი იყო ფორს-მაჟორული გარემოებების თაობაზე, 19.08.2015 წლის ბრძანებით ნასყიდობის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა. მოსარჩელეს დაეკისრა პირგასამტებლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 11 მარტის განჩინებით საქმე განსჯადობით განსაზილველად ბოლნისის რაიონულ სასამართლოს გადასცა. სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო კერძოსამართლებრივი და არა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ამდენად დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობდა. გარდა ამისა, სარჩელი შეტანილი უნდა ყოფილიყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

ბოლნისის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დავა ტერიტორიულ-საგნობრივი განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეზე მოპასუხეები არიან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებმაც გასაჩივრებული აქტების გამოცემისას იხელმძღვანელეს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობით. სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ ვინაიდან სახეზეა დავა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობას შეეხებ, სარჩელი აღმრული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული განსჯადობის საერთო წესების შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის

თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის საგნობრივ-ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმატულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირე-

ბით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საჯარი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემული დავის საგნობრივი განსჯადობის განსაზღვრისათვის არ კმარა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხები არიან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – ადმინისტრაციული ორგანოები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიუკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ენინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს თავის საქმიანობაში კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის

65¹ მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ., სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება; ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

ამ მსჯელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დავის განსჯადობა უნდა გადაწყდეს სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესაბამისად.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამოიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სასკ-ის 2.3 მუხლის შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკავალი სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება და არ გაითვალისწინა, რომ ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის

2012 წლის 15 მაისის № 15/05/04 განკარგულების საფუძველზე, ანუ, სახეზეა პრივატიზებიდან წარმოშობილი დავა.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაცილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

რაც შეეხება მოცემული სარჩელის ტერიტორიულ განსჯადობას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმობაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ხორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-მე-19¹ მუხლით რეგლამენტირებულია განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების ადგილის ან იმ ადგილს მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ მოცემული საქმე განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-

2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, რამდენადაც მოცემულ დავაზე სასარჩელო განცხადება აერთიანებს კუმულაციურ მოთხოვნებს: ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული საჩივრის დაკამაყოფებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების თაობაზე, შესაბამისად, მოცემული დავის განსჯადობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №1/1-3235 ბრძანების საფუძვლად შპს „...“ მიერ ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობა განსაზღვრული ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-241-239(გ-16)

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა მ. ს-ის სარჩელთან
დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ რუს-
თავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-
ასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ს-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოში გარდაბნის მუ-
ნიციპალიტეტის გამგეობისა და გ. ქ-ის წინააღმდეგ სარჩელი
აღძრა, რომლითაც მოითხოვა გ. ქ-ის მიერ გარდაბნის სარეგის-
ტრაციო სამსახურში 2007 წლის 28 მარტს განმეორებითი რე-
გისტრაციისათვის წარდგენილი გარდაბნის გამგეობასა და გ. ქ-
ს შორის 2006 წლის 12 ივნისს გაფორმებული №150 საიჯარო
ხელშეკრულების საკადასტრო აზომვითი ნახაზის ბათილად
ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 7 სექტემბერს გარ-
დაბნის გამგეობასა და ნ. ს-ს გაფორმებული ხელშეკრულების
თანახმად, ნ. ს-ს იჯარით გადაეცა სოფ. ... ტერიტორიაზე 30 ჰა
მინის ნაკვეთი, კატეგორია – საძოვარი. 2007 წლის 6 ივნისს ნ. ს-
მა იჯარით გადაცემული მიწა შეისყიდა. ნ. ს-ის შვილი და პირვე-
ლი რიგის მემკვიდრე მ. ს-ი უძრავ ქონებას ვერ ირეგისტრირებს,
რადგან საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მიწის ნაკ-
ვეთი ზედდებაშია გ. ქ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქო-
ნებასთან. გ. ქ-ის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნა-
ხაზი, როგორც ფართობით, ისე ფორმით, აშკარად განსხვავდე-
ბა საიჯარო ხელშეკრულებაზე დართული ნახაზისგან.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის გან-ჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად იმავე სასამარ-თლოს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსა-ხილველად გადაეცა.

სასამართლოს მითითებით, ვინაიდან სადავო ნახაზით გან-ხორციელდა მოპასუხის სახელზე მინის პრივატიზება, წარმოდ-გენილი დავა ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით უნდა იქნას განხილული.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა განმხილველი მოსამართლე აღნიშნულ განჩინებას არ და-ეთანხმა და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა სამოქა-ლაქო სამართლის ნორმებს ეფუძნება. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა არა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სა-ჯარო უფლებამოსილებიდან გამომდინარე რაიმე მოქმედების განხორციელება ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმა, არამედ სადავოა გ. ქ-ის მიერ წარდგენილი უძრავი ქონე-ბის იმ აზომებითი ნახაზის კანონიერება, რომელზეც ეს უკანას-კნელია პასუხისმგებელი.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა განმხილველ მოსამართლეთა განჩინებების გაცნობის შედე-გად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლე-ბამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მ. ს-ის სარჩელი ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით უნ-და იქნეს განხილული შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსა-ხად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სა-სამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფ-ლებამოსილია განხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლება-მოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპ-როცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვიტილების გაუქმების აბსოლუტური პროცე-სუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ცალსახად არ გამოირიცხება მ. ს-ის სარჩელის მიკუთვნება ერთ-ერთი ზემომითოთებული კატეგორიისადმი.

მოსარჩელე ითხოვს გ. ქ-ის დაკვეთით შესრულებული საკადასტრო აზომებით ნახაზის ბათილად ცნობას.

სასამართლომ, წარმოდგენილი საქმე მიიჩნია რა სამოქალაქოსამართლებრივ დავად, მ. ს-ის სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებითი სარჩელის კატეგორიას მიაკუთვნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუ-

მენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალ-ბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

იმავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანხმად კი, სარჩელის შეტანისას მხარემ უნდა მიუთითოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, ხოლო 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს განსახილველად, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსამარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა ნარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იურიდიული ინტერესი არის სამართლებრივი სიკეთე, რაც მხარემ შეიძლება მიიღოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც, ბუნებრივია, არ გულისხმობს მხოლოდ ქონების გადაცემას. იურიდიული ინტერესის ცნებაში ყოველთვის იგულისხმება ის მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი; ამასთან, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინაა დასაშევები, თუ მხარე დაადასტურებს, რომ ეს აღიარება სასამართლო წესით უნდა მოხდეს, უფრო ზუსტად კი, სასამართლო წესით უფლების აღიარების აუცილებლობა უნდა გამოირკვეს და ამ აღიარებას უნდა მოჰყვებოდეს სამართლებრივი შედეგი. იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება დადგეს ის შედეგი, რასაც მხარე ისახავს მიზნად. აღნიშნული პირობა ობიექტურ გარემოებაა და არ აქვს მნიშვნელობა, თავად მხარე რა სამართლებრივი შედეგის დადგომას უკავშირებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას. აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენს შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავლაში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარები-

თი სარჩელის დაქმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმომობილი დავის გამო ირღვევა. საყურადღებოა, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობაზე არსებით გავლენას, იურიდიული ინტერესის ნამდვილობის თვალსაზრისით, ახდენს ის ფაქტი, რომ დავის სხვა სახის სარჩელის (მაგ: მიკუთხნებითი სარჩელის) აღმვრის გზით გადაწყვეტა არ უნდა იყოს შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლები ასევე მიიჩნევს ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებად ცნობის აუცილებელ წინაპირობად იურიდიული ინტერესის არსებობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, რუსთავის საქალაქო სასამართლო ზედაპირულად მოეკიდა მ. ს-ის სარჩელს და, შემოიფარგლა რა სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების შეფასებით, არ გაითვალისწინა მხარის მოთხოვნის რეალური სამართლებრივი ბუნება.

წარმოდგენილი სარჩელიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ მ. ს-ის იურიდიული ინტერესია ნ. ს-ის სამკვიდრო მასაში შემავალი უძრავი ქონების მის სახელზე რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის ინტერესი საკადასტრო აზომვითი ნახაზის ბათილად ცნობის გზით არ მიიღწევა, ვინაიდან, ნახაზის ბათილად ცნობა გავლენას ვერ მოახდენს გ. ქ-ის სახელზე არსებულ სარეგისტრაციო ჩანაწერზე. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლში ჩამოთვლილია რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები. უფლების რეგისტრაციის დროს წარდგენილი ნახაზის ბათილად ცნობა ამგვარ საფუძველს არ წარმოადგენს. სავარაუდოდ, მ. ს-ის მოთხოვნა შეიძლება იყოს გ. ქ-ის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ზედდების ნაწილში ბათილად ცნობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ წარმოდგენილი სარჩელის ადმინისტრაციული წესით განხილვისას უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული

შუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით და სარჩელის დაზუსტების ან მოთხოვნის ტრანსფორმირების შეთავაზების გზით უზრუნველყოს მ. ს-ის სარჩელზე იურიდიული ინტერესის არსებობა. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი ტრანსფორმირდება იმგვარად, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ვეღარ მიიჩნევა, სამომავლოდ არ გამოირიცხება მისი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაცემის შესაძლებლობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2, 28¹-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ის სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განხილვა

№ბს-325-322(გ-16)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 23 მარტს თ. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართ.

მოსარჩევებ მოითხოვა: სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №05/01-243 დადგენილების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ქართული ენის მიმართულებას, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი №3 ოქმის დადგენილებითი ნაწილის მე-5 პუნქტის დამტკიცების დავალება, რომელიც ეხება ქართული ენის მიმართულებას და სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ქართული ენის მიმართულებაზე შესაბამისი დადგენილებით ასისტენტ-პროფესორის – თ. გ-ას როგორც კონკურსში გამარჯვებულის დამტკიცება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 მარტის განჩინებით თ. გ-ას სარჩელი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართ განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისძიებულის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ანა პალიტკოვსკაიას ქ. №9. თავისი ფუნქციის განხორციელებისას სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო როგორც აღმინისტრაციული უწყება, წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიური რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. ქ. თბილისი არის სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილსამყოფელი.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 38¹-ე მუხლის თანახმად, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განსაზღვრულია ქ. თბილისი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე – სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, როგორც ადმინისტრაციული უწყება, წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას და იგი განთავსებულია: ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკა-იას ქ. №9-ში, ასევე, ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6-ში მდებარეობს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო, შესაბამისად, სასამართლომ განსჯად სასამართლოდ მიიჩნია სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით თ. გ-ას სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამ მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის განსჯადობის წესი მოქმედებს მაშინ, თუკი ორივე მხარე იძულებით გადაადგილებული პირია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია თ. გ-ას მიერ, რომელიც არ წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იმთავითვე გამორიცხავს სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო

საქმის მასალებს, შეამონება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-და-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექ-ვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგე-ნილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო გან-სჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩე-ლი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედ-ვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასა-მართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტო-რიულ განსჯადობაზე და საერთო წესის თანახმად სარჩელი წარ-დგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აწესდეს აფხაზეთის სასამარ-თლოებისათვის ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში სა-ქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-კის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედ-ვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თა-ვის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაად-გილებული პირია.

ამდენად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამარ-

თლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილ-სამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარს და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია მოსარჩელეზე, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირზე, რაც გამორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. გ-ას არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი.

განსახილველ შემთხვევაში თ. გ-ა ითხოვს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №05/01-243 დადგენილების მე-3 პუნქტის ბათოლად ცნობას იმ ნაწილში, რომელიც ეხება ქართული ენის მიმართულებას, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი №3 ოქმის დადგენილებითი ნაწილის მე-5 პუნქტის დამტკიცების დავალებას, რომელიც ეხება ქართული ენის მიმართულებას და სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ქართული ენის მიმართულებაზე შესაბამისი დადგენილებით ასისტენტ-პროფესორ თ. გ-ას როგორც კონკურსში გამარჯვებულის დამტკიცებას. ამდენად, მოცემულ სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე (თბილისი, ზუგდიდი, ქუთაისი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანებით დამტკიცებულ იქნა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

ეთანხმება სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ თ. გ-ას, რომელსაც არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, აღნიშნული გამორიცხავს მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობას, რა დროსაც გამოყენებულ უნდა იქნეს არა სსკ-ის 439-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, არამედ სსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები, ანუ სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯად სასამართლოს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურიდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თ. გ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. გ-ას სარჩელი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განვითარება

№ბ-440-1(ა-16)

3 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სა-
ქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა პალატის 11.09. 2014წ. განჩინების გადასინჯვა.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ა-მა 25.01.13წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოში მოპასუხების: საქართველოს ოკუპირებული ტერი-
ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლები-
სა და ლტოლვილთა სამინისტროს, მესამე პირების: საქართვე-
ლოს მთავრობის, ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მი-
მართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახ-
ლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 04.01.13წ. №02 ბრძანე-
ბის ბათილად ცნობა და მოპასუხის დავალდებულება – ვ. ა-ზე
საცხოვრებელი ფართის სანაცვლო კომპენსაციის გაცემა 10 000
აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 03.07.13წ. გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სარჩელი
დაცმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუ-
პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირ-
თა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 04.01.13წ.
№02 ბრძანება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიე-
ბიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და

ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა ვ. ა-ი საცხოვრებელი ფართის სანაცვლო კომპენსაციით დაკმაყოფილება – 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.02.14 წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 03.07.13წ. გადაწყვეტილება, მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-მა.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.2014წ. განჩინებით ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.02.14წ. გადაწყვეტილება.

01.04.2016წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ვ. ა-მა და აღნიშნა, რომ ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.2014წ. განჩინების გაუქმებას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას. განმცხადებელი საქმის წარმოების განახლების საფუძვლად უთითებს იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით უარის ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საცხოვრებელი სახლის მას საკუთრებაში აღურიცხაობის გამო. მის მიერ მოპოვებულია ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ვ. ა-ს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი სახლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ვ. ა-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დაგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი

ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ვ. ა-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ვინაიდან საკასაციო პალატის მიერ უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ვ. ა-ის სარჩელი. ამდენად, ვ. ა-ის სარჩელზე არსებითად იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ და არა საკასაციო სასამართლომ. სასამართლო თვლის, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გადასინჯვის მოთხოვნით ვ. ა-ს უნდა მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატისათვის, ანუ სასამართლოსთვის, რომელმაც არსებითად იმსჯელა განსახილველ საკითხებზე და მიიღო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ ვ. ა-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.09.2014წ. განჩინების გადასინჯვის შესახებ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ა-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ცარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განვითარება

№ბ-1103-5(ა-16)

7 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამონმა ახლად
აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების
შესახებ ო. და ჯ. ჯ-ების განცხადების დასაშვებობის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ადმი-
ნისტრაციული საქმე №ბს-229-223(კ-08) ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის
25 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე ჯ. ჯ-ას საკასაციო საჩივ-
რით განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის
განჩინებით ჯ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშ-
ვებლად და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დე-
კემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით
მარტვილის რაიონის სოფ. სახელობის ეკლესიის მოძღვარ
ს. დ-ას წარმომადგენლის ე. ქ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმა-
ყოფილდა; გაუქმდა მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007
წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება სოფ. ჯ. ჯ-ას საკუთრება-
ში არსებული 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და საჯარო
რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო და-
ნარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; მარტვი-
ლის რაიონის სოფ. სახელობის ეკლესიის მოძღვარ ს. დ-ას

სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ჯ. ჯ-ას სახელზე მარტვილის რაიონის სოფ. ... მდებარე 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის 2006 წლის 4 იანვრის საჯარო რეესტრის ჩანაწერი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურს მარტვილის რაიონის სოფ. ... მდებარე 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით მარტვილის რაიონის სოფ. სახელობის ეკლესის სახელზე აღრიცხვა დაევალა.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლის გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მარტვილის რაიონის სოფ. სახელობის ეკლესიის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ეკლესიის გარშემო მდებარე 6,419 ჰა მიწის ფართობი, აქედან: სახნავი – 1,7 ჰა, ნაგებობის ქვეშ განთავავსებული – 0,15 ჰა, გზები – 0,07 ჰა, პარკ-ხეივანი – 1,299 ჰა, ეზო – 2,70 ჰა, სხვა დანარჩენი – 0,50 ჰა; სათანადო თანხმობის საფუძველზე მოპასუხების: ი. ს-ას საკუთრებაში არსებული 0,23 ჰა მიწის ნაკვეთი, ო. ბ-ას საკუთრებაში არსებული 0,169 ჰა მიწის ნაკვეთი, გ. ბ-ას საკუთრებაში არსებული 0,131 ჰა მიწის ნაკვეთი, ა. ბ-ას საკუთრებაში არსებული 0,23 ჰა მიწის ნაკვეთი და ნ. ს-ას საკუთრებაში არსებული 0,168 ჰა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით გადაეცა სოფ. სახელობის ეკლესიას და საჯარო რეესტრში მოხდა შესაბამისი რეგისტრაცია. ამასთან, საჯარო რეესტრის მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურში გაუქმდა მოპასუხებზე აღნიშნული ნაკვეთების საკუთრების უფლების რეგისტრაცია; მოსარჩელეს უარი ეთქვა სოფ., ჯ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრაციაზე უსაფუძვლობის გამო.

2016 წლის 29 აგვისტოს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართეს ო. და ჯ. ჯ-ებმა, რომლებმაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების დადიანების სასახლის კუთვნილი ... ნაწილში და ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების ჯ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის ნაწილში გაუქმდება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს იმ მოტივით, რომ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მტკიცებულებები, რომელთაც მოსარჩელე ამყარებდა მოთხოვნებს და რომელთაც ემყარება სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინება, ყალბია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდლვრები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობის საკითხს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. და ჯ. ჯ-ების მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებები საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია მარტვილის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია იმ-სჯელოს ო. და ჯ. ჯ-ების განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007

ნლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

მოცემულ შემთხვევაში, ო. და ჯ. ჯ-ები ითხოვენ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მაიარნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ო. და ჯ. ჯ-ების განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, რის გამოც ო. და ჯ. ჯ-ები არასწორად მომართავენ განცხადებით საკასაციო სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოადგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 424-ე მუხლებით და

დადგინდება:

1. ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქითხელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა 3; 11; 21; 31; 37; 42;
54; 61; 69; 79; 88
2. სამოქალაქო განსჯადობა 96; 99; 109; 118
3. ტერიტორიული განსჯადობა 126; 132; 136; 140; 145;
149; 154; 161; 166
4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო
საქმის წარმოების განახლების
შესახებ განცხადების განსჯადობა 172; 175

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge